

345/3
1892

№ III



1892

შ 0 6 ა ა რ ს 0

ქურთულის «ჯეჯილი»-სა

	წ.
I. ქრისტე აღსდგა — რაჭული მიღოცეა	3
II. სანდრო — მოთხრობა აპილი. წელისა	4
III. მაისი — ლექსი ზეზვასი	14
IV. ანნა-ბულბული — პოემა გაფა-ზეშეგელასი	15
V. უცაბელი მოგზაურობა, თარგმანი ა. თ.-წ.—სა.	23
VI. ჩიტი გალიაში — ლექსი აკაკისა	32
VII. პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, წერილი მეათე — ილიკასი	33
VIII. ლევენდა, ლექსი მერცხალასი.	43
IX. ჩეენი ქელი გმირები, ისტორიული სურათები გ. წერილისა	44
X. ხალხური ლექსი, ჩაწერილი გრ. აზშინაშვილისაგან	53
XI. ვეფხის-ტყაოსანი, ნამბობი მოზრდილი ყმაშვილებისათვის გ. ი — სა	54
XII. ბერიაშინ ფრანკლინი, გადმოკეთებული სნ. თ.-წ.—სა.	66
XIII. ყველჩალია მკილავი — იაკობ სკიმონიძისა	74
XIV. ხალხური ლექსი, ჩაწერილი დათე შიძისაგან	76
XV. ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ზმა, სამათემა-ტიკო გამოცანები, შარადა და რებუსი	77

—oo—

რედაქციისაგან.

რედაქცია უმოანჩიდესად სთხოვს ხელის მომწერლებს, რომელთაც შემასატანი ფული აქვთ, შირველ მკათათვემდას გამოგზავნონ, თუ ნებავთ შემდეგი ნომრების მიღება.



ჯ ე ჯ ი ლ ი

ს ა ზ მ ა ჭ ვ ი ლ ი ს უ რ ა თ ე გ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...

ა. დ.

№ III

{ წ ა ღ ი წ ა ღ ი ძ ე ს ე ძ ე }



ტ ფ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა წ ი გ ნ ე ბ ი ს გ ა მ რ ა მ ც ე მ ე ლ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ს მ ს ა ნ ა გ ლ ბ ი ს ა

1892



Дозволено цензурою Тифлисъ, 30 Апрѣля 1892 года.

Типографія Грузинскаго Издательскаго Товарищества, Л.-Меликовская ул. д. № 28

ქრისტე აღსდგა!

(გაგონილი რაჭაში დათემიძისაგან)



რისტე აღსდგა! გვიჩაროდეს,
მაღლი მახარობელსაო!
რომელსა და რომელსაო?—
ჩვენსა მახარობელსაო!

გაიჩაროს უველა სულმა,
უველა სულმა სულიერმა:
ჩიტმა, გვრიტმა და შროშანმა;
ჯინჭველმა ბოლო ფრთიანმა!

ტყე და ველმა, ცის ფრინველმა
და ქვევით მიწის ნათესმა!
სიძემა და ქალიშვილმა,
მუშაუაცისა მარჯვენმა!

საუღლე ხარისა ქედმა,
სუმელამ გაიჩაროსა!....



დაიხსნა — უოტა თავისუფლად რომ ამოისუნთქა, გოგიამ იფიქრა, ცოლს შევირთავ, მჭადს გამომიცხობს, ხმას გამცემს, ოჯახსაც უკეთ მოვაწყობო. ამ განზრახვით შეირთო ცოლი მართა, რომელიც ნამდევილ მეუღლეობას უწევდა გოგიას და რომელმაც წლის თავზედ შესძინა ვაჟი, სანდრო.

ახლა კი გაეხსნა გოგიას შუბლი, იფიქრა ეს არის სანდრო უმცროს მმასავით მომესწრება, გვერდს ამომიღვება და სიცოცხლეს შემატყობინებსო.

მართლაც, სანდრო კარგი ბუნჩულა ყმაწევილი იყო. ის შეაღენდა მთელი ოჯახის ბედნიერებას. მშობლები სულ იმის ფიქრში იყვნ, — მოვესწრებით იმ დღეს, რომ ჩეგნი სანდრო სკოლაში დადიოდეს?

სანდრო ოთხი-ხუთი წლისა იყო. ნახავდა თუ არა საღმე ქალალდის ნახევს, დაიჭერდა ხელში და ვითომ კითხულობდა, — ან, ბან, გან, დონო და სხვ.

ექვსი წლისა რომ შეიქნა სანდრო, მშობლებს აუსრულდა თავიანთი გულის წადილი. სანდრო სკოლაში მიაბარეს.

— აბა, შენ იყი და შენმა კაცობამ, როგორის თეალით შეხდავ ჩემს სანდროს. მაგის მეტი არაფერი არის ჩემს ბარაზე. — შეეხეწა გოგია სოფლის მასწავლებელს.

სანდრომ ადრე გაიზეპირა და გაიკვეთა ან-ბანი. უნდა გერახათ, რა მშევნივრად „ჩაჭიკჭიკებდა“ შინ შემოსვლისას, გაკვეთილებს შემდეგ:

მიმინოსა მწყერი უყვარს,
 შეეარდენსა ნადირობა,
 თუ შენ, ნენავ, სანდრო გიყვარს,
 აწი კი სადილობა.

— კი შეილო, კი შენი ჭირიმე, ასეთი ყევლიანი კვერი ცხვება შენთვის, რომ ხაჭაპურს გააწილებს, — ეტყოდა ხოლმე დედა.

— შენი ჭირიმე, დედი, დედი, რომ სხვასავით ცივ მჭადს არ დამახელრებ.

საჩქაროდ სჭამდა საღილს სანდრო და შემდეგ გაეშურებოდა ერთხანს ამხანაგებში საცელქოდ. როცა გულს მოიჯერებდა, შეუ-დგებოდა ისევ გაკვეთილების კითხვას. კარგადაც სწავლობდა. პირ-ველ გამოცდაზედ საჩქრად მიიღო პატარა წიგნაკები, სურათებით შემკული—მეორეზე მადლობა უთხრეს და ერთმა გამომცდელთა-განმა სამი აბაზიც ჩაუჩხრიალა ჯიბეში. იმ წელს, როცა უნდა გაეთა-ვებინა სოფლის სკოლა, დედა-მისი პატარა მაროზე მორჩა, რომელს შემდეგ მას რაღაც აეაღმყოფობა დასჩემდა. ბევრი სოფლის ექიმები დაღალა გოგიამ, მაგრამ მის მართას მაინც ვერა უშველა-რა, ბო-ლოს სოფლის მასწავლებელმა გოგიას ურჩია ნასწავლი ექიმი. მოე-ყვანა. გოგიამაც დაიჯერა, გამონახა ძეველს „ჭირჭმი“ (ჩეარში) გა-ხვეული გროშები და გასწია ექიმის მოსაყვანად. ექიმმა მართა ნახა „რეცეპტი“ (წამალი) დაუწერა. ახლა გოგიამ „რეცეპტით“ ხელში ქალაქის აფთიაქისკენ გასწია, წამლები იყიდა და გზის შესამოკლებ-ლად პირდაპირ რკინის გზის ლიანდაგს დაადგა. მოდის გოგია და ფიქრები ათას ნაირად უტრიალებენ თავში:—აპა, ვითომ მისი ცო-ლი მართა კვდება, გოგია მარტო რჩება, სანდრო და მარო ობლ-დებიან, გოგია შავს იცვამს, მართას ტირის, მღვდლებს საწირავში მართას ნამზითვი ქები, ტაშტი, ჯაჭვი და ბუმბული მიაქს. რა ქნას, ფული მას არ აქს, მღვდლები კი არ დააცლიან, ისინი სულ იმას გაიძახიან:—„მოიტა, მომეცი“. ამ საზარელ ფიქრში რომ არის, რა-ღამაც მოაკიდლა უკანით გოგიას. დაფაცურდა, მაგრამ რაღა დროს იყო? თვალის დახამხამების უმაღ ის უკვე გადისროლა ლიანდაგს იქით უსულოდ, საშინლად დასახიჩრებული.

მეორე დღეს გოგიას გვაში ნახეს პატარა მწყემსებმა, რომელ-თაც დილით ძროხები გარეკეს ლიანდაგს იქით. იმათ პირველად ვერ გაბედეს ახლოს მისელა, მერე სხეებსაც კი შეატყობინეს მკვდრის პოვნა. მოგროვდა ხალხი, მაგრამ გოგიად ის ვერვინ იცნო. მოვიდა მღვდელიც, რომელსაც შეეტყო მაშინას ვიღაც მოუკლავსო, იქნება, ჩემი მრევლისა იყოსო. მღვდელმა მაშინვე იცნო.

— ეს გოგია არის. უყურეთ ახალუხს, აი, წამლის შუშებიც! თავისი ცოლის წამლებზე იყო ლ—ში წასულიო,—სთქვა მღვდელმა. —უი, საწყალი, უბედური! — მიაყოლა ხალხმაც. შეატყობინეს გოგიას სახლიყაცებს ეს უბედურება, ისინიც მოვიდენ გეამის წასაღებად. გააკეთეს საკაცე და ტირილით შინისკენ წაასვენეს.

სოფლის დედა-კაცებმა მართას მიუსამძიმრეს ქმრის უბედურება. მართა გაშმაგებული ძუ ლომიერით წამოეარდა ზეზე; იმას დაავიწყდა თავისი აეადმყოფობა, მორთო კივილი, ტირილი, კვნესა, მოთქმა, მუდარა, მუქარა, ერთის სიტყვით რაც პირზე მოადგა.

დამარხეს გოგია მესამე დღეს. დამარხეს მასთან მისი ავლა-დიდებაც. მისი ქამარ-ხანჯალი მღვდელმა წაიღო საწირავში, მართა კი იხვეწებოდა: ჩემს სანდროს ნუ გაუცემ ქამარ-ხანჯალს, იქნება ღმერთმა და ობლის მამამ მომასწროს ის დღე, რომ თითონვე დასჭირდეს, მაგრამ ვინ იყო გამგონე.

დარჩა ასე უმწეოდ ეს ერთი ოჯახობა, მაგრამ მართა იმედს არ იტეხდა. ჩემი სანდროს მოსწრებამდის დედა-კაცობასაც გავწევ და მამა-კაცობასაც,—ამბობდა ის. მერმე ღმერთია მოწყალეო. ახლაც ძრიელ გული უკვდებოდა, რომ სანდროს სკოლაში ვერ გზავნიდა, მაგრამ რა ეჭნა, ვერ მოეფიქრნა, სახლის მცველიც არ ჰყავდა სხეა სიკეთეს გარდა...

* * *

შემოდგომის ღილა იყო. ახლად ამოსული მზე ბროლივით აბრძუვიალებდა დანამულს ბალახებს. პატარა ბავშებმა ძროხები სა-ძოეარზედ გარეკეს, დაცვარული ბალახი რძეთ ექცევა, კარგიაო; მათ შორის სანდროც იყო. მასაც ჰყავდა ერთი ძროხა, როგორც ზემოდ მქონდა ნათქვამი. ის იყო ბავშებმა ძროხები საბალახოთ გარეკეს, ერთად შეიკიბენ და შინისკენ გამოსწიეს. ზოგს მათგანს ძრიელ ეშურებოდა, რადგან გაკვეთილებისთვისაც უნდა მიესწრო სკოლაში. აქ ერთა სხეათაშორის პატარა სკოლის მოსამსახურე ბიჭი, ლადიკო. ლადიკომ იმ სკოლაშივე სწავლა დასრულა და შემდეგ სოფელმა

მცირე ჯამაგირით მასწავლებელს მიუჩინა ხელზედ მოსამსახურედ, ამანაც მასწავლებლის ძროხა გადენა საძოვარზედ (მასწავლებელს ოჯახობა ამ სოფელშივე ჰყავდა) და ამათთან ისიც მოდიოდა, სკოლაში ცეცხლი უნდა დაენთო, სუსხიანი დილა იყო.

— ლადიკო, აბა შენ იცი, რა კარგს ცეცხლს დაგვაწვედრებ,— უთხრა ერთმა მოწაფემ.

— რა მეცეცხლება, ძამიავ, ერთ კვირეს შემდეგ მითავდება ვადა, მე კიდევ მინდა მასწავლებელთან ყოფნა, მარა შინაურები არ მანებებენ თავს, ჯამაგირი ცოტააო.

— მერე ვინ დგება შენს მაგიერ, თუ იცი,— ჰერიონის სანდრომ.

— არ ვიცი, კვირას ყრილობა იქნება და ვისაც სოფელი დაუწენებს, ის იქნება.

სანდრომ აღტაცებულმა მოიჩინა შინ და დედას უთხრა:

— აბა, შენ იცი, დედი, თუ დაფაცურდები, ჩვენი საქმე წალმა წავა, იმისთანა ამბავი შევიტყე.

— რაი, შეილო, მითხარი, თუ კი რამ შემიძლია, ვის დაუზოგავ?

— შენ ხომ იცი, მასწავლებელთან რომ ლადიკოა, იმას ეხლა ვადა უთავდება, მამა აღარ აყენებს და მის მაგიერად მე დავდგები.

— მერე, შეილო, შეგიძლია შენ ლადიკოს ოდენა საქმე?

— რისთვის არა, ნენა? ლადიკო ჩემზედ ერთი წლით იქნება მეტი.

— კი, შეილო, მარა ვინ გაგიწყობს მავ საქმეს, ვინაა შენი შემწე?

— ვინა და თვითონ მასწავლებელი. ის კაი კაცია, მე ძლიერ უუყერდი, კლასში რომ დაეიარებოდი. დღეს წავიდეთ, ენახოთ და შევეხვეწოთ.

— ასე იყოს, ჩემო შეილო.

მართამ გამოაცხო ერთი „დედო“ ხაჭაპური, ერთი ვარია დაიკირა, ერთი ბოთლიც ღვინო მისცა სანდროს ხელში და კლასის გამოსელის დროს გასწია მასწავლებლის სახლისკენ.

— ნენა, ძლვენი რა საჭიროა მასწავლებელთან, მამსახლისი ხომ არაა ისიც?

— არა, შეიღო, მარა რაც უნდა იყოს, ხელ-დამშენებული მისვლა კაია, ცოლშეიღოანი კაცია.

მართას მოეგება საღათ ჩატული მასწავლებლის ცოლი ლისა, რომელსაც ხელში პატარა ძუძუ-მწოდეარა ყმაწეილი ეჭირა. ლისამ მხიარული სახით და სიყვარულით ხელი ჩამოართო მართას, საზღ-ში შეუძლეა და სკამი დაუდგა.

— დაბძანდი, მართა, დაბძანდი.

— მაღლობელი ვარ, ბატონო, მაღლობელი. რას ირჯები ქვრივ-ოხრისათვის. ვისი რა ლირსი ვარ.

— რა შენ ქვრივი და რა სხევა, ჩემო მართა. ჩენ კველას ალერსით ვეპყრობით, რითაც შეგვეიძლია ხელს უწყობთ.

— ა! შენს ენა-პირს ვენაცვალე, რომ ასეთი ლეთის ნიერი ბძანდებით.

მართამ გამოართო სანდროს „მოსაკითხი“ და ლისას შიართვა:

— ამისთვის ნუ გამიწყრები, ჩემო ბატონო.

— მაღლობელი ვარ, ჩემო მართა, მაგრამ რას იწუხებდი თავს?

— სიმონ სად ბძანდება, ბატონო, რაღაც ცოტა საქმე მქონდა მასთან.

— აგერ ბაღში მუშაობს, დაუუძახებ და ამ წამს გიაზლება:

ლისამ გასძახა ქმარს ბაღში, სტუმარია და მობძანდიო.

ცოტა ხანს შემდევ შემოვიდა ერთი პირ-ხმელი ახალგაზდა კაცი. მართა მის შემოსულაზე ფქნებდ ადგა.

— ბძანდებოდე, მართა, ბძანდებოდე. ოჲ, სანდროს გაუშარჯოს, როგორ მეწყინა მართა სანდროს სკოლის თავის დანებება, ცოდვაა ნიჭიერი ყმაწეილის მოცდენა.

— ეს მეც კი მესმის, შენი ჭირი შემეყაროს, ჩემო ბატონო, მარა რა ვენა! ვინაა მაგის მეტი ჩემი მომხედავი. ახლა ამის

შემახვეწარი ვარ: იმდენი სიკეთე უნდა მიყო, თუ შეიძლება, ლა-
დიკოს მაგიერ სანდრო მიიღო, მგონი კი შეიძლებს იმდენს საქმეს.
მადლია, გაკვეთილებსაც უყურებს. მიქენი სიკეთე, შენს საქებ-სადი-
დებლად, სულის სამადლოდ. მე თუ ვერ გადაგიხდი მადლობას,
ღმერთი იქნება შენი მადლობელი.

— რატომ არა, კაი საქმეა ძლიერ. ერთ კვირეს შემდეგ მო-
ვიდეს, მივიღებ. სოფელს მე ვეტყვი, უარს არ იტყვიან, იმის ჯამა-
გირს მაგასაც მივცემთ.

— ო, შენი ჭირიმე, აბა, მოიმედე ვიყო?

— უთუოდ, უთუოდ.

— მშეიდლობით ბძანდებოდეთ, ჩემო ბატონებო—და მართა ში-
ნისკენ წამოეიდა სიხარულით აღტაცებული.

სანდრო ხომ რა, ფეხზედ აღარ იდგა. მოუთმენლად მოელოდა
იმ დღეს, როცა ის ელირსებოდა ისევ სკოლაში წასელას, ისევ თა-
ვის ამხანაგებში გარევას, მასწავლებლის სამსახურს...—ოი, შენი ჭი-
რიძეო,— შემოსძახებდა ხოლმე ხშირად და ტაშს შემოჰკრავდა.

ბოლოს ეს ნეტარი დროც დაუდგა სანდროს. დღეს ნახავთ
ნ—ის სოფლის სკოლაში პატარა სანდროს ცოცხით ხელში, როცა
სკოლას ჰგვის. ის გაკვეთილებზედ ესწრება მასწავლებლის გულ-
კეთილობით. თუმცა ორი თვე მოხცდა სწავლას, მაგრამ ეხლა
თავის ამხანაგებს მაინც დაეწია, გაკვეთილებს შემდეგ მასწავლებლის
ბძანებას ასრულებს. მის პატარა ლოლიას ათამაშებს, ლისას წყალს
უზიდავს და სხვ.

სანდროს ყველანი ემადრიელებიან, ამხანაგებიც, რადგან სიცი-
ვეში მუდამ კარგს ცეცხლს ახვედრებს და სუფთა ოთახს.

აი, აგერ დიდმარხვაც მიიწურა, სანდრო ფიქრებშია გატაცებუ-
ლი. მას ნახევარი წლის ჯამაგირი ხუთმეტი მანათი ერგება, ფიქრობს:
დედას ძაბა კაბა თალხ ჩითად შეუცვალოს, მარო ააყვავოს და თვი-
ოთონაც ამ საალდვომოდ გამოეწყოს, მამისათვის აწირეინოს, აღდგო-
მას პასკა დაუკურთხოს. რაც მორჩება ფული, მასწავლებელს მია-
ბაროს.

აი, ამ ფიქრებით გატაცებული სანდრო კარგადაც სწავლობდა და თავის საქმესაც ცოცხლად ასრულებდა.

სკოლის მზრულებელებმა კიდეც ჩააბარეს სანდროს თხუთმეტი მანათი და თან მაღლობა უთხრეს ყოჩალობისათვის. უნდა გენახათ სანდრო, რა გატაცებით უყურებდა ფულებს. ეს მისს საკუთარ შრომას შეადგენდა.

— კარგია, პატარავ, საკუთარი შრომით დამსახურებული ჯილდო? — ეუბნებოდენ გლეხები.

სანდროს სიხარული და აღტაცება განუზომელი იყო. ბზობას მან წაიყვანა დედა, რაც განძრახეა ჰქონდა, ყველაფერი იყიდა, მხოლოდ თავისთვის კი არა იყიდა-რა, რადგან მასწავლებელმა უბრძანა: არა იყიდო-რაო.

დადგა დიდი შაბათიც. სანდრო უიდს ფაცა-ფულშია. ყველაფერ ბძანებას სწრაფად ასრულებს, საღამოზედ დედა მისი მიერადა და მასწავლებელს შეეხვეწა:

— თუ შეიძლება, სანდრომ აღდგომა შინ გაითხენოს.

— ხეალ დილით გამოვვჩავნი, მანამდე დრო არა მაქს, — უთხრა მასწავლებელმა.

დაღამდა დიდი შაბათიც. ყველანი ტკბილს ძილს მიეცნ ადრე, საღამოსვე, რადგან ხეალ ყველას ადრე აღვომა უნდოდა.

სანდროც დაწვა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ ეკარება, ის მწარე ფიქრებშია. რას ფიქრობს? აი, რას: — დახეულ ხალათის ჯიბე-ში ხეალ წითელი კვერცხი როგორ ჩაეიდეა! რა უნდოდა იმ დალოცებილ მასწავლებელს, მეც ჩემთვის ახალი ტანისამოსი მეყიდა, ხეალ მე ამ ძევლი დაფხრეშილი ტანისამოსით სათამაშოზედ ვერ გავალ. აქ კი ვეღარ მოითმინა პატარამ და მწარე ცრემლები „ვით მარგალიტი ობოლი“ თვალთაგან ღაბალუპით გადმოსცეინდა.

ჩაეძინა ჩეენს პატარას, მაგრამ სიზმრები აღარ აყენებენ. ესიზრმება, ვითომ ქრისტე აღსდგა, ხელში ბოხჩა დაუჭერია, დადის და პატარა ობოლ ბავშებს ახალ ტანისამოსებს ურიგებს, აგრე სანდროსაც თავს დაადგა, მასაც აძლევს ტანისამოსს და წითელ კვერცხს...

სანდროს უნდა ხელზედ სწოდეს, აკოცოს და მადლობა უთხრას, მაგრამ ვერ უშედავს... სწოხს ჩვენი პატარა, შფოთავს. ამ ღროს „ასტყდა ზარის რეკა“. სანდროს გამოელეიძა. ხედავს ლისა თავს დასდგომია და ხელში რაღაცები უჭირავს.

— ადექ, სანდრო, ადექ! აი, ეს ერთი ხელი ახალი ტანისამოსი სიმონშა გიყიდა. მე კიდევ შეგიკერე, ღმერთმა სიხარულში გაგაცვე- თინოს, ამა ჩაიცეი.

სანდრო სიხარულით დაბარბაცდა; მადლობაც ვერ მოახერხა. სისწრაფით ჩაიცეა ახალი საცვალი, შარვალი, ხალათი, ქამარი, წულა-მესტი, თავზედაც თეთრი ქული. ზეცაში აფრენილს გავდა ახალ ტანისამოსში. ის შევიდა მასწავლებლის ოთახში, პირის საბა- ნი წყლის მისართმევად. აქ მასწავლებელმა და ლისამ ორივემ ერთ- ხმად მიულოცეს ბავშური მილოცვა, რომელიც იციან გურიაში ახა- ლი ტანისამოსის ჩაცმაზედ:

ახალ - ახალობაშიო,
 გაზდა - გახარებაშიო;
 მაგ ახალის დაცვეთაში,
 სხვა ახლის შეკერებიო.

ახლა, ჩემო სანდრო, საღამომდინ თავისუფალი ხარ, სათამაშო- ზედ არაფერი იტკინო, ჭკუით იყაენ. ახლა შინ წადი და დედას წირვაზე წამოყევი.

სანდრომ თავის გადაქნევით მადლობა უთხრა და სირბილით შინ გამოსწია. ცოტა შიში კი შეუვიდა გულში; მაგრამ რისა ეში- ნოდა? მრავალი ჩირალდნებიანი მიდიოდენ ეკლესიისაკენ. ის შევიდა თავის სახლში. დედას სიხარულის ცრემლები გადმოსციედა თვა- ლებიდან, სანდრო რომ გამოწყობილი დაინახა. მისმა გულმა უთ ხრობლადაც იყრძნო, ვისი წყალობა იყო ახალი ტანისამოსი?

— მას კი შამოვევლე თავზე, როგორ პეპელასაეით გამოუწყვი- ხარ, შეილო.

— იცი, დედი, ცოლ-ქმარი ანგელოზებიეით კეთილიგულისანი არიან...

მართას უკავ კეცხედ დაეკრა სასაუზმე „ტაბლა“, კალათაში ჩაე-ლაგებინა „საკურთხი“, „რომელიც შესდგებოდა ერთი პასკისაგან, სამი წითელი კვერცხისაგან და ბოთლი ღვინისაგან, მისცა სანდროს ხელში, თვითონ მორთულ-მოკაზმული მართ დაიჭირა და გარეთ გა-მოვიდა, კარები დაკეტა და ეკლესიისკენ გასწიეს. ჯერ კიდევ გათე-ნებას უკლდა, ყველა დღესასწაულობდა, მამლებიც სადღესასწაულო ხმაზედ გაყიოდენ ყიყლიყოს.

— იცი, შეიღო, ამ ორი კაპეიკის სანთელი იყიდე და საკურ-თხზედ დაადევი ნაწირეეს, მღვდლებს დააკურთხებინე.

— ვიცი, ვიცი, დედო.

— ხო, შენი ჭირიშე, აწი აღარ ვიტყვი—მოვკლი-მეთქი, შენის-თანა შეიღო მრჩება.

ისინი კადეც მიეიდენ ეკლესიაზედ, რომელიც ძალზედ იყო გაჩაღებული. ყველას ახალი ტანისამოსი ეცვა, ხელში სანთლები ეჭირათ, აგრ ლიტანიაც დაიწყო, ხალხი ლოცულობს, სანდროცა; მაგრამ რას ეხვეწება ღმერთს? პირველი მისი ლოცვა იყო მადლო-ბა, რომ მოესწრო აღდგომას, მერე მასწავლებლის და მის ცოლის სიცოცხლეს სთხოვდა ღმერთს თავის უმანკო პირით, არც დედ-მამა დავიწყებოდა: „ღმერთო დედა მიცოცხლე და მამა მიცხონეო“.

აგრ წირვა გათავდა, მღვდელმა ჩამოილოცა სამ-გზის სოჭეა, ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად — ყველამ უპასუხა, ყველანი ჯვარს ემთხვია და გარეთ გამოვიდენ ერთმანეთის მისალოცად, სანდრო-მაც მოძებნა ამხანაგები, დაკოცნა და მიულოცა, — შემდეგ მასწავლებ-ლისკენ წამოეიდენ. მასწავლებელმაც ისინი დაპკოცნა, ყველას თითო კვერცხი მიულოცა და უთხრა „ქრისტე აღსდგა! ჩემო პატარა მე-გობრებო.“

აპ. წულაძე.



გ ა მ ს ი



ას გაუცვდა საცმელი,
ენძელამ ჩაიუვავილა.
მაისის დილის მზის სხივი
გარდებში ჩამოქსოვილა.

გალობს და გალობს ბულბული
სამშობლოს სიუვარულითა;

ცა იცრემლება სამოდ
უწომო სისარულითა.

გარშემო ურბენს ნიავი
წელში ამართულს ეანასა:
სან ააღელვებს ზღვასავით,
სან ტკბილად ეტევის ნანასა.

მწვანე სავერდში ჩამჯდარა
სმირი ტყე, ფართო გელიო;
ამათ კალთებზე ღიღინებს
მუშა, ნამისგან სველიო...

ეს ჩვენი ტურია ქვეანა—
ურიცხვი მთა და დელეო,
სალხინოდ არის მორთული,
ღმერთო, შენ გვიდღებრძელეო!

ზეზე

ა ნ ნ ა -ბ უ ლ ბ უ ლ ი

II



ასი არის, იქუსა,
წვიმიძმ დაიწეო მოდენა;
წვეთები ცვიგა კამკამით
ალმასის თვალის ოდენა.

მწვანე ბალახი და ჩირთი
წმინდი ცრემლითა დანამა.
ცხვრები გარეკა ტეის პირად
ობოლმა ქალმა ანნამა.

ჩამოჯდა კელის პირადა
ბეჭედუაბიძინი გოგონა,
დაფიქრდა თავის ბედზედა
ობლობა წამოიგონა.

ატირდა... ცრემლი ჩამოსდის
სახე დატანჯულს ანნასა,
აღელვებს მინდვრის ნიავი
კელ-მოღერებულ ეანასა.

სტირის ბუჩქის მირს მიმჯდარი,
შესტირის ტურფის იასა:

— იავ, რას მეტევი, ლამაზო,
 უშმობლოს, უმმოს, ტიალსა.

სხვის თვალ-წარბ შემაცექელსა,
 თვალზე ცრემლ შეუშრობელსა,
 ვერსად ვიშოვი, ნეტავი,
 მეც, როგორც სხვებს ჭავს, მშობელსა?

იავ, სადა გვავს შენ დედა,
 სად გვავს გულშემატკივარი?
 — მეც ობოლი ვარ, მკერდს მილბობს
 ცრემლები ჩამოძინარი.

— სულ მსიარული რადა სარ,
 მუდამ ახალის კაბითა?
 რად მატეულებ, ლამაზო,
 გულის სალბურს ამბითა?!...
 მე ვარ, მარტო მე ობოლი.
 სხვა არა ჩნდება არსითა,

იამ ვერ გასცა ჰასუხი,
 ჭმუნვის დააჩნდა საზია.
 ბრალად შეჭედა ობოლსა
 ცრემლი ჩამოსხლტა ნაზია.
 ზეპელამ ცრემლი შესუტა
 გახარებულმა გასწია...

II

სის კენწეროზე შემჯდარი
ტურფად გალობდა ქერონა,
რცხილის ტოტებზე სტებოდა
მოუსვენარი ცერონა.

ქერონას ბუდე ჩაედგა,
ყოველი ღონე ეღონა;
ბდარტების დედას ქვეუანა
თავის სახლაკარი ეგონა.

დღეს ისტუმრებდა გალობით,
ებებებოდა საღამოს,
ტბბილის ხმით მშვიდი ფრინველი
ლუქს უმდეროდა საამოს.

ანა მიუდგა ხეს მირე...
ჩიტს შესძახოდა ტირილით:
— არ თუ გიცდია ქერონავ,
ობლობა გულის ტკივილით,
დარდის წამალი ძალავლე,
ეუბნებოდა ჩივილით.

ჩიტო, სულ მუდამა ჭიბალობ,
ნეტავ, შენს გულს და გონებას;
რად არ ობოლსა მიშხედავ,
შენსავ ჩემს ტანჯება მონებას.





— ହେଠିରେ ପ୍ରଥମଙ୍ଗଳି ଦେବ ଆରି,
ଶ୍ରୀକୃତୀଲୋକରେ ରା ପ୍ରଦାନି,
କୁରୁ କୁରୁକୁରୁକୁରୁ, କୁରୁ କୁରୁକୁରୁ,
କୁରୁକୁରୁକୁରୁକୁରୁକୁରୁକୁରୁକୁରୁ.

ଜୀବର୍କ ତଥା ଆର ଶାଖାଲୀପି ପରିପାଦାନ,
ପାଦାଲୀପି ପରିପାଦାନ,
ପାଦାଲୀପି ପରିପାଦାନ,
ପାଦାଲୀପି ପରିପାଦାନ.

— ଆର, ମେନ କ୍ରିୟାର, କ୍ଷେତ୍ରନାନ,
ମେଲ୍ଲିପିର ଯାତ୍ରାଗତା,
ମତ ମନ୍ତ୍ରପରିପାଦାନ,
ତଥା ପରିପାଦାନ,
ତଥା ପରିପାଦାନ.

ହାତୁରିପରିପାଦା ହିତି ମାଲାରାନ,
ତଥା ପରିପାଦା ମାଲାରାନ,
ତଥା ପରିପାଦା ମାଲାରାନ,
ତଥା ପରିପାଦା ମାଲାରାନ.

ତଥା ପରିପାଦା ପରିପାଦା ପରିପାଦା
ପରିପାଦା ପରିପାଦା ପରିପାଦା;
ପରିପାଦା ପରିପାଦା ପରିପାଦା;
ପରିପାଦା ପରିପାଦା ପରିପାଦା.

— ମେନ୍ଦ୍ର ହିତାର ପରିପାଦା,
ପରିପାଦା ପରିପାଦା ପରିପାଦା,
ପରିପାଦା ପରିପାଦା ପରିପାଦା,

სან ვიუვეთ ჭალის სტუმრები,
სან ვინავარდოთ მთებშია.
არ გაძოგარჩევ, ღობილო,
ჩემს შვილებში და მებშია.

ეს სთქვა, ქერონა წავიდა
შეილების სანახავადა.
იქნებ ჰმიოდეთ, ჰუქრობდა,
ან იქნებ გახდენ ავადა.
გინ უპატრონებს ჩემს ბდარტებს,
თუ არ მიგხედე თავადა.

გაფაციცებით მიურინავს,
არ ერიდება ხეებსა,
მწვანეს ფოთლებზე აცორევებს
ნაზი ფრინველი ფრთეებსა.

三

ანნა წინ მიდის ტექ და ტექ,
თავზე წააღვა წეაროსა.
იქნება იმან უძველოს,
ობოლი გაახაროსა?

წეარო ჩამორბის მღერითა,
მოაქანებდა ზვირთებსა,
ნაშს ასზურებდა ანკარა
სის ჩამოწეულს კვირტებსა.
მიგ ბანაობენ, წეაროს ჭიმენ,
გაჭისარებოდათ გვრიტებსა.

— წეაროვ, მწყურვალთა იმედო,
 დაუსვენებლად მდინარო,
 მე, უცოდნელო დარღისა,
 სულ მუდაძ ლაფო, მცინარო,



რატომ არ მშველი ობოლსა
 მშრომელო დაუძინარო?

— მე რა გიშევლო, ჰატარავ,
 ქვეუნის ემამა და მუშამა,
 შენ კარგად ჭხედავ ჩემს ბედსა:
 მთელენ და მსვამენ მუდამა.

წეარომ რა ეს სოქვა, ატირდა,
 ცრემლი აფრევია ანკარა;
 ჩაციელავდა შაშბებში
 თვალ-ცრემლიანი ჰატარა.

დაფამულიუო კიდეცა,
 უური ამოყო მთვარემა;
 სალამი მისცა მოგზაურს
 მწუსარე არე-ძარემა.
 ზედ აღიბეჭდა მის სსიურ
 ობლისა ცრემლმა მწარემა.

წეაროს პირს გაშეშებული
 ანნა შესცექის ცასაო,
 გაუბედავად, თრთოლითა
 ობლი იღებს ხმასაო.

მუხლ-მოურით შესთხოვს უფალსა:
 «დმერთო მაქციე ჩიტადა,
 გადამარჩინე ობლობას,
 თხოვნა მიიღე წმინდადა!»

თქმულია ცრემლი ობლისა
 უფალს უნთია სანთლადა,
 ობლის შეწეალვა უცვნია
 საუკეთესო მადლადა.

ბრძანა: «იქცი ბულბულად
 შთენილო ახერატიალად,
 აუწე სალხსა ტკბილი ხმით
 შენი ვარამი ხმიანად!»

ობოლი იქცა ბულბულად,
 დაიფართხალა, გაფრინდა;
 ხშირს ბარდში ეკლიანშია
 გულ-შეუდრეველად ჩაფრინდა.

აქ მოჰყვა მწარეს მოთქმასა
 ობლის ეოვნა-და-ბედზედა,
 სხვას არა სტირის, არც სჩივის,
 სატირალი აქს ერთზედა.

ბულბული იწებს გალობას,
 უცხოდ აზავებს ჭანგებსა.
 ერთმანერთში ჰქოცს გულ-მწარედ
 დაჩაგრულობის ამბებსა.

ეს ზარი გულის დამწველი
 ჩვენ მიგვაჩნია ლხინადა:
 ვამბობთ: «აგერა ბულბული,
 რა ტურფად გალობს, ტკბილადა!

მის სიმღერაში ვერ ვსცანით
 მწარე ნაღველი რეული,
 დღეს აქამომდე ვერ ვსცანით
 ეს ხმა მწირი და ეული.

უცაბედი მთგ ზაურ თბა*)

(რასახის ფოტო)

IV



ამდენიც დრო გადიოდა და საქმე კარგად მიღიოდა, იმდენად უფრო ჩვენ მეცნიერს ლაპარაკის ხალისი ემატებოდა. დაუწყო ჩვენება და უხსნიდა, რომელი იარაღი რისთვის იყო საჭირო. სხვათა შორის უჩვენა ერთი სამეცნიერო იარაღი ბარომეტრი. რამდენათაც უფრო მაღლა აღიოდენ ჰაერში, იმდენათ უფრო მაღლა დაეჭვდეოდა ამ იარაღზე. ის იმედოვნებდა, რომ ამ გზობით ისეთ სიმაღლეზედ უნდა ასულიყო, რა სიმაღლეზედაც ჯერ არავინ არ ყოფილიყო.

მსაჯული გარინდული, გაბრუებული ყურს უვდებდა, გრძნობდა მხოლოდ საშინელ სიცივეს და თავის უბედურებას. „ვინ იცის, რას ფიქრობს ჩემი საცოდავი ცოლი?.. გაიტარა გულში მსაჯულმა: დილით როგორ უნდა მოუსწრო სამსახურს? ხეალ ხომ ჩემი გემი უნდა დაბრუნდეს შორის გზიდანა.“

— მეონი, ემჯობინება ძირს დაუეშვეთ, ღამე ქვემოთ გაეატაროთ, სთქვა მეცნიერმა,—თქვენ რას იტყვით? არც ასე ეცივება.

— მე რას მეკითხებით! უთხრა ნუგეშ დაკარგულმა მსაჯულმა.

— მე გულით მსურს გასიამოვნოთ, როდესაც კი ჩემ განძრახულ საქმეს არას დაუშლის. მაინც მალე დაბნელდება და ჩემი საქმისთვის კი საჭიროა მზე—სინათლე.

— საშიში ხომ არა არი რა? დაეკითხა მსაჯული.

*) იხილე „ჯეჯილი“-ს მე-2 №-რი 1892 წლისა.

— რავენა, რის შიში გაქვთ! ხომ არასფერს არ დავეტაკებით? მერწმუნეთ, აქ უფრო უშიშრათა ეართ, ვიღრე დელამიწაზედ. მოთავსდით კარგათ, ეცადეთ, დაიძინოთ.

მსაჯულმა დაუჯერა. დაღალული იყო, ქურქში გაეხვია და მაშინვე ჩაეძინა.

სიზმარი ძალიან სასიამოვნო ნახა. ესიზმრა, რომ სახლში ცოლს გვერდით უზის. მაგრამ აახილა თვალები თუ არა, ნახა, რომ ისევ ჰაერში იმყოფებოდა. ძირს საშინელი სიბნელე იყო და ზევით ეარსკელავები ბრჭყეინავდენ.

— საშიში ხომ არა არი რა? წამოიძახა მაშინვე მსაჯულმა.

— გაიღვიძეთ? ნუ გეშინიანთ, საქმე კარგათ მიღის, ორ სათს ჟემდევ გათენდება და ჩვენ დავიწყებთ ისევ მაღლა ასელას.

— ახლა რა სიმაღლეზედა ეართ?

— დელა-მიწიდამ მხოლოდ ხუთ ვერსტს ავცილდით.

— მერე სადამდის აპირებთ ასელას?

— მინდა ამ გზობით ერთი ორად ავიდე, თუ ბურთი არ გასქდა.

— მერე ხომ უფრო დიდი სიცივე იქნება? ჰკითხა ჟეწუხებულ-მა მსაჯულმა.

— რა საკირველია, ეს სიცივე იმასთან აბა რასიცივეა? ნუ კი ჟეგეშინდებათ. თქვენ ქერა ბრძანდებით — ქერა აღამიანი უფრო სიცივის ამტანია. მე შავვერემანი ვარ და ჩემთვის სიცივე ძალიან საგრძნობელია, მაგრამ მაინც მე ყველაფერს ავიტან ხოლმე და იმედი მაქს, რომ ეხლაც ბედი არ მიმტყუნებს. ერთხელ კიდეც მივაღწიო ათი ვერსის სიმაღლეს, თუმცა შესაძლო იყო კიდეც დავლუპულვიყავი.

— როგორ? მითხარით.

— აი, როგორ, მე ვიცოდი, რომ გრძნობას დავკარგავდი, ამიტომაც ხელზე მოვიბი ჭურჭლის თავდასაცობზე გამობმული თოკი; საცა ჰაერი ჩამწყვდეული იყო და ისე დავდევ ფეხზედ. როდესაც გონება დავკარგე, დავეცი. ამ დაცემის გამო თოკმა დაიწია, თავსაცო-

ზი მოიხსნა, ჭურჭლიდან ჰაერი ამოვიდა და ამის გამო ბურთი დაეშვა ძირს, მაგრამ შესაძლო იყო ნაეიდამ გადმოვარდნილვიყავ, როდესაც გრძნობა დავკარგე.

— მაშ სანამ გონებას დაჰკარგავდით, სულ მაღლა ადიოდით? ჰკითხა თაეზარდაცემულმა მსაჯულმა.

— დიალ, ბატონო. მაგრამ ახლა ვაპირებ უფრო მაღლა ავიდე, ჩემი ანგარიშით, თქვენ უფრო გვიან დაჰკარგავთ გრძნობას; ამიტომაც ახლავე გეუბნებით, თოკს ხელი არ ახლოთ, სანამ მე სრულებით გონება არ დავკარგო. იცოდეთ, თუ მე ისეთ სიმაღლეზედ ავალ, როგორც მწადიან, მაშინ თქვენც ჩემთან ერთად მოიპოვებთ საშეილიშვილოთ უკვდავ სახელს.

— მე სულაც არ მეპიტნავება ამ წეალებით სახელის განთქმა და მერწმუნეთ ვერც სიცივეს ავიტან, სთქვა გამწარებულმა მსაჯულმა.

— ვნახოთ, ღრო რას მოიტანს. მანამ ვისაუზმოთ, თორემ როცა გათენდება — აღარ მეცლება.

V

— გაეიდა სამი საათი. მეცნიერს დიდი სიჩქარით აჰყავდა ბურთი მაღლა. სუნთქვა ამათ თანდათან უძნელდებოდათ, ერთმანეთის ლაპარაკი ველარ გაევოთ, საშინლად ყვიროდენ. მსაჯულს თაესზარი ეცემოდა. მეცნიერი კი გულგრილად ტომჩებს ქვიშით აესებდა და ნაეიდან ძირს ისროდა.

— მიშველეთ ამის აწევა. უთხრა მსაჯულს და მიუთითა მაყალწედ, — მძიმეა და უამისოთკი ადვილად გავძლებთ.

— სულაც არ ვიშველით, სთქვა აღშფოთებულმა მსაჯულმა, — მოთმინებას ვკარგავ; ხედავთ, თითები სულ გამეყინა? გეუბნებით, ბურთი ახლავე დაუშეით ძირს.

— ხომ არ გაგიჟებულხართ? ჰკითხა გაკვირვებით მეცნიერმა.

— గ్రహించబిత, రంఘ అమిత్యేద మెత్తి మంతమిన్చేదా అలారు శ్రేమించుటాన్. క్షురక్షలిస తాగ్సాప్రంబి అబాడ్యేత, తంక్రేమ మే తింటాన్ అగ్బండ్.

— ఈ న్యూ మ్సాజ్యుల్లి ఊమండ్గా తాగ్సిస మ్యుజ్యారిస అసాసర్కుల్చేంబ్లాడ, మాగ్రామ ఉజ్జ్వరాడ శ్రేప్రంతా దా ఉజ్యాన్ డాింగ్సా, రండ్గాన్ నిమిస మంతింర్లా-కింక్రేమ డామ్బాహి డాఉమించ్చు. మ్సాజ్యుల్లి వ్యేర్ గాఎం, త్య సాండామ గాహీన్డా అస్ అన్చండ్జ్యుల్లాడ డామ్బాహి.

మే డామ్బాహిస ప్రంవ్యేల్త్విస తాన్ గాత్రార్జేబ్, జుత్కోర్లా మిశ్చిండాడ మేప్రున్-ిగ్రమా.—గోస న్యూసి, భుర్తమా సాడ అమించుప్రంప్రించ్చుస తాగ్సి. కూర్గుసా, రంఘ అబ్లాప్ తాన్ మ్యేండా, అబ్స, ఔఁకో గాఫంండ్గిత, మాశిన్వ్యే డాగాఖ్లింట డామ్బాహిస.

మ్సాజ్యుల్లి డామ్బాహిసాప్ ఈ అస్ అస్ గాఎంబ్రండారు, రంగుంర్ త్యేర్ శి మంగ్చొంగ్రంబిసుస. అమిస డాన్చాక్వాశ్యేద సాసుంచ్చార్క్వేతింల్చేబాస మింప్రా దా అయ్యాన్కాల్డా.

— ప్రురొ డామిగడ్యేత, గాన్చాగ్రంబ్ మేప్రున్-ిగ్రమా: క్షేణ్ మాంల్లా మిశ్చేన్-ిగ్రమాడ అవ్వుగ్గార్త, మాగ్రామ రంక్షి క్షేమి గాన్చార్లాక్షేసి అసర్కుల్చేబా జుత్యుండ మిండా, రంక్షి అసి, ప్రుంలాట్యేరొ జ్ఞండా గాడాయ్పార్లంత, రంఘ భుర్తిం జ్యుంబ్ స్థుంప్యుం అంంండ్యే మాంల్లా. మే కాంలొస కూర్గుండ వ్యుర్కుంబ్ క్షేమి తాగ్సి. అమిసతాన్ సిమాంల్లేంజ్ జ్యేర్ ఈ అస్ అస్ జ్యుల్లుగ్గార్, రంఘ ఉంగ్రొర్కిండామ సిసెంల్లి అస్ మేడిన్చుస. మే అమ క్షురక్షలిస తంక్యుతాన్ డాయ్యుంగ్బేమ డామ్బాహిం దా త్య క్షేణ్ గూన్చార్లింగ్త, సాన్చి గ్రంచేబా శ్రేమిక్షేమిసా,— డాిల్చుంబేబిత దా రంక్షి గున్చేబా మిండుంస డామిన్చాయ్త, మాశిన్ క్షి గాముసంింగ్త తంక్షి దా కింల్ డాయ్యేశ్వేబిత. త్య అస్ దా గింజుంర్ క్రేత అస్ డాింక్రాత, తంక్రేమ నొ-ంగ్బత.

మ్సాజ్యుల్లిం న్యూండా, రంఘ మేప్రున్-ిగ్రస అస్ ఉప్పుగార్లా క్షుమిక్రంబా, తాగ్సిస తాగ్సి డాంల్చుంగ్లి జ్యుంన్ దా అలార్ ప్రుం ప్రంిల్లంబ్లా చ్చిన్చామల్చ్యుంగ్గంబస. అమిస త్యుమ్పు తంబిల్లి క్షురక్షి జ్యుం, మాగ్రామ మాిన్ ప్ర క్షుంల్సక్షింల్క్షి అప్పు-మిన్ బ్దు.

మేప్రున్-ిగ్రస సిప్రింగ్త డామ్బాహి క్షేణ్ జ్యేర్ డాయ్యుంగ్గా, సాన్చి ఈ తాగ్సిస త్యుప్పుశ్చి అస్ గాథ్యుసా దా క్షేణ్ ఈ అస్ మింస్కుండా. రంక్షి క్షేణ్ న్యూసి, స్థుల్ గాడాయ్పార్లేస. మేర్ శ్రేప్రంగ్ స్థుగ్గుబ్బుస న్యూసా న్యోత్యేబిస గాడాయ్పార్లాస.

მსაჯულს ეძინებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა. ამასაც რომ დას-
ძინებოდა, ხომ ორივენი დაიღუპებოდენ, რადგან გადარეულმა მე-
ცნიერმა ჭურჭლის თოკი ხელზედ არ მოიბა.

დრო ერთობ ნელა გადიოდა, ვერც ერთი ველარ ლაპარაკობ-
და... საოცარი აუტანელი სიცივე იყო. მსაჯული ველარა სძრავდა
ხელ-ფეხს. ერთი ორჯელ რისყოფით გაიწია თოკისაკენ, მაგრამ
მტარეალი მაშინვე დამბაჩას დაუმიზნებდა. ცოტა რამ აკლდა ათი
ვერსის სიმაღლეს. მეცნიერს ცხვირიდგან სისხლი წასკდა, მაგრამ
თითქოს არასა გრძნობდა. მსაჯულს თავბრუ დაესხა, ნესტოები-
დან სისხლმა გადმოხეთქა, ნაეში დაეცა; მაგრამ გონზედ მალე მო-
ვიდა, თითქოს სისხლის დაღვრამ არგო კიდეცო.

თავი მაღლა აიღო და დაინახა მეცნიერი იატაკზედ გაშოტილი.
ბარომეტრი უჩეენებდა ამათ, რომ ესენი ისეთ სიმაღლეზედ ასულან,
რა სიმაღლეზედაც ხორციელი კაცი არ ასულიყო აქამდის. მსაჯულს
უნდოდა თავის გადასარჩენად ერთი კიდევ ღონე ეხმარა, ფეხზედ
წამოდგა და გაიწია თოკისაკენ; მაგრამ ველარ შესძლო, როგორც
კი ხელი უნდა მოეკიდნა თოკისთვის, ერთბაშად სული შეუგუბდა
და წაიქცა. ამავე დროს სწორედ იმის ცხვირ წინ იყრიალა დამბაჩამ
და საშინელი კომლი დადგა.

მსაჯულმა გონება დაპკარგა.

VI

მსაჯული ისევ მოეიდა გონებაზედ, მაგრამ ევონა, რომ მასუ-
კან, რაც ნაეის იატაკზედ დაეცა ძალიან ბევრი დრო გასულიყო.
სიცოცხლე ნელნელა უბრუნდებოდა.

მალე ისე კარგად გახდა, რომ დაიწყო აქეთ-იქით ყურება. რა
მოხდა? თოკს ხომ, აშკარაა, არაენ მიჰყარებია. მეცნიერი ისევ იმ
ადგილას იდო, მაგრამ ცოტ-ცოტად ისიც გონებაზედ მოვიდა. პა-

ტარა ხანს უკან ორნივე წამოსხდენ და გაშტერებულნი ერთმანერთს უყურებდენ.

ძალიან დათბა; იმათ თბილ ტანისამოსში დასტათ, მსაჯულმა ძირს ჩაიხედა. არე-მარე ღრუბლით იყო მოცული დაცქერდა და ნახა, რომ რაღაც შავად მოსჩანს. ნუ თუ დედა-მიწა? ამ ღროს მოესმა მეცნიერის მხიარული ლაპარაკი.

— ჩემი წადილი ამისრულდა! ჯერ არაენ ასულა ამ სიმაღლეზედ. ბარომეტრზედ დაჭდეულია თერთმეტი ვერსტის სიმაღლე. მიზანს მიერწიო, ჩემისთანა ბენციერი ქვეყანაზედ არაენ არის!

— მე მხოლოდ ახლა ის მწალია, რომ მალე დედამიწაზედ დავეშო, სოქვა დაღონებულმა მსაჯულმა,—ნეტავ, ახლა სადა ვართ?

მეცნიერმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს სიზმარში იყო, სიხარულით ჯერ კიდევ ვონებაზედ ვერ მოსულიყო.

— ეს რა ამბავია!—დაიძახა უეცრად მსაჯულმა, რომელსაც შემოესმა რაღაც ხმაურობა.

მეცნიერი თითქოს ახლა გამოფხიზლდა, საჩქაროდ, ძირს ჩაიხედა.

— ჩქარა, თავს უნდა გუშველოთ, ნავიდამ ყველაფერი გადავყაროთ! ბურთი გამსკდარა! — დაიყვირა იმან გიჟივით.

საჩქაროდ სტაცა მაყალს ხელი და გადისროლა. რაკი ეს სიმძიმე მოშორდა, ნავი თითქოს ისეთი სიჩქარით აღარ მიესწრავებოდა ძირს.

— რა ამბავია, რა მოხდა?—ჰკითხა მსაჯულმა.

— არ ვიცი. ბურთი თავისთავად არ გასქდებოდა, ჩემი ხელით არის ნაკეთები. მართლა, ეხლა-კი მესმის რაც ამბავია. მე რომ დამბახა გესროლეთ, უთუოდ მაშინ ტყვიამ გახეთქა ბურთი. შეხედეთ, რა შავ ნისლში ვართ შეხეეული; ეს სულ წეიმის ღრუბელია. პატარა ხანს უკან სულ დავიღუპებით.



ჩექები, თბილი ტანისამოსი და სხვა წერილმანი სულ გადის-
როლეს ნაეიდამ, მაგრამ ნაეი მაინც დიდი სიჩქარით ჩადიოდა ძირს.
ნისლს რომ გასცილდენ, ორივემ ერთ ხმათ საზარლათ შეჰყვირეს:

— ზღვაზედა ეართ, ზღვაზედ!..

დედა-მიწა არსად არა ჩნდა, ძირს მხოლოდ თვალ-
გაფუწვედენელი და უზარმაზარი წყალი იყო.

— თოკები გადავჭრათ, დაიყვირა მეცნიერმა.

ღვთის მაღლით დანა კი გადარჩენოდათ და ეს
იარაღი აუცი ლებლად საჭირო იყო ამ გეარ შემთხვე-
ვაში.

თოკები გადასჭრეს და ნაეი დიდი ხმაურობით წყალში
ჩაეარდა. მოგზაურები მიეკვრენ ბურთის ბადეს. რაკი ნაეი
ჩაეარდა ზღვაში, ბურთმა ისევ ნელნელა იწყო მაღლა
ასელა. მათ სული უგუბდებოდათ, ხელები შიშით
გაუციედათ, ორივენი ვრძნობდენ, რომ დიდ ხანს ვერ
გაუძლებდენ ამ მდვომარეობას. მეცნიერი მაინც არ დაი-
ბნა და ჰყითხა მსაჯულს:

— ლურვა იცით?

— ძალიან ცოტა. თუნდ ვიცოდე, რა გამოვა?

— ის გამოვა, რომ წყალში ნაეთან ახლოს შეი-
ღება ჩაერდეთ და მაშინ მიეცურდებით და ნაეში ჩა-
ჯდებით, იმას წყალი აგრე მალე არ დასძირავს. ხედავთ,
ნაეი სწორედ ჩვენ ქვეშ არის. კარგი იქნება, რომ ბურთი ერთი კი-
დევ გადიჭრას, მეონი. მეტი იმედი აღარა დაგვრჩენიარა. თანხმო-
ბის ნიშნად მსაჯულმა თავი დაუქნია და თითონ თვალები დახუჭა,
რომ არა ენახარა.



VII


მოისმა ხმაურობა. მსაჯული ჩაეარდა წყალში, ეგონა, რომ,
ეს ეს არი, წყალი დასძირავს, მაგრამ მალე ამოიყურყუმალავა, პი-

რო ჰქონდა სავსე მღაშე წყლით. პატარა ხანს უკან გამოჩნდა იმის თანამოგზაურის თავი.

— აი, ნაეიც ახლოა. დავჩერდეთ, ჩავსხდეთ, თორემ ამისთანა დიდ ზღვებში თევზ-ეეშაპები არიან ხოლმე-სოქვა მეცნიერმა.

ერთი ამის გაგონებაც აკლდა უიშისოთაც მოშიშარ მსაჯულს. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხელით და ფეხით მოჰყეა ცურეას.

ბედზედ ზღვა დამშვიდებული იყო, ორიოდ წუთს შემდევ ორივენი მიცურდენ ნაეთან და თოკების შემწეობით, აცოცდენ შიგ ნაეში.



— ნაეში წყალი ბლომად ჩამდგარა, მუჭით უნდა ამოვასხათ, სხვა საშუალება არ არი — სოქვა მეცნიერმა.

ამათ ბედზედ ნაეი ძროთი ჩაერდნილიყო, თორემ ესენი როგორ გადააბრუნებდენ. როდესაც შიგ ჩამდგარი წყალი ამოასხეს და შიში აღარაფრისა იყო, საბრალო მეცნიერმა სული მოიბრუნა და წამოიძახა:

— ჩვენ ბედზედ საქმე როგორ კარგად დატრიალდა! რა ბედნიერი ვყოფილვართ!..

— როგორ თუ ბედნიერები ვყოფილვართ! ამას თუ ბედნიერებას უძახით, მაშ უბედურება რაღა უნდა იყოს?.

— როგორც ვფიქრობდი, ყველაფერი ისე ამისრულდა. სახელი გავითქვი, სურეილი...

მეცნიერმა უეცრად შესწყვიტა ლაპარაკი. ჯიბეს ხელი იკრა და გამწარებულმა წამოიძახა:

— დავიღუბე! დავიღუბე!..

ბარომეტრი, რომელზედაც ნაჭდევი იყო, სადამდინაც ავიდენ, ჯიბიდან ამოეარდნოდა. რამდენსამე წუთს საბრალო მეცნიერი გიჟი-კით იცქირებოდა.

— არაეინ არ დამიჯერებს, რა სიმაღლეზედაც ავედი. ჩემმა შრო-მაშ ცუდ-უბრალოდ ჩაიარა. ეხლა რალა ვქნა? ყვიროდა გამწარე-ბული.

რიგი მსაჯულისა იყო, ნუგეში ეცა თავის თანამოგზაურისა-თვის.

— რა ვუყოთ! უნდა ღმერთს მაღლობა შევწიროთ, რომ დე-ლა-მიწაზედ არ ჩამოეარდით, თორემ ჩეენი ხსენებაც არ იქნებოდა, ან ეხლაც რალა საჭიროა თქვენი ბარომეტრი, როდესაც დასამარ-ხავათაც დედა-მიწას ვეღარ ვეღირსებით.

მაგრამ აქაც ბედმა არ უმტყუნა იმათ. გამელელმა გემმა დაინახა თუ არა ამათი ნაეი, მოაშურა ამათკენ და ორიერნი აიყვანა გემზედ. თურმე ნუ იტყვით, ეს გემი მსაჯულის საკუთარი გემი ყოფილიყო, რომლის დაბრუნებასაც ასე მოელოდა.

მეცნიერი ასეთი უნუგეშო შეიქნა ბარომეტრის დაკარგვის გამო, რომ სიკვდილს გადარჩენა არცკი უხაროდა.

მართლაც არაეინ დაუჯერა თერთმეტის ვერსტის სიმაღლეზედ ასელა, რადგან დამამტკიცებელი საბუთი ხელში აღარ ეჭირა.

არც მსაჯულის მეუღლეს შეეტყო თავის ქმრის დაკარგვა, რად-გან იმავე დღეს თავის დედმამასთან ორიოდ დღით წასულიყო.

ହିନ୍ଦୁ ଗାନ୍ଧାରାମ



ଅପାରା ହିନ୍ଦୁ ହିନ୍ଦୂଃ
 «ରାତା ଯାର ରାମିଷ୍ଵର୍ଯ୍ୟାଲୀନ?
 ଗାନ୍ଧାରାମି ଯାର ରମ୍ଯକ୍ଷମିନୀଲି,
 ମିଶ୍ରଦୀର୍ଘ ରା ମର୍ଦ୍ଦିଗଳ ଗୁଣିନି:

ହେଠ ରାଜ୍ଞୀମହାନାନ୍ଦ ହିନ୍ଦୁନ୍ଦେବୀ
 ମନ୍ଦିରରୀତ ଗାନ୍ଧାରାମିଲୀ!...
 ମାତରତଥିଲ ଗାନ୍ଧାରାମ ଦୁର୍ବେଳ
 ଯେତରାଧିରାଧିରାଧ ମୁଖୀଲୀ.

ରାଜ୍ଯକୁର୍ମନ୍ଦ, ରାଜ୍ୟକୁର୍ମନ୍ଦ;
 ମହାଦ ପଦିଗ୍ରାମ ବର୍ଣ୍ଣିଲିନ
 ରା ମେ କି ପାନ୍ଦିଲାଶ ଅମାର୍ଦ୍ଦ
 ଯାର ଅନ୍ତର ମନ୍ଦିରିଲିନ.

ରାତ ମିନ୍ଦ ରୁକ୍ଷିରାଙ୍କ ବଲ୍ଲକ୍ଷିଣି?
 ଯେ ମନ୍ଦିରରୀତା ମର୍ଦ୍ଦିଲୀନ!
 ରା ପିନ୍ଦ ଅମ ରହୁଥି ହାମିରାନ,
 ରହୁତିରାଙ୍କ ରହୁତି ପର୍ବତିଲୀ!»

୫୫୦



პატარ-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეათე

„ჩვენ კაცთა მოგმა ქვეყანა,
გვაძეს უთვალავი ფერითა“.



აუგარელო მმაო ლადო! ვერ წარმოიდგენ, მმაო,
რა მნელი რამ ყოფილა უმუცრება. აი, ერთი
ნამდვილი ამბავი უნდა გიამბო, რომელიც
მომაგონდება ხოლმე თუ არა, ასლა სიცილათ
არ მეოფნის.

ზაფხულის ცხელი დღე გვისალმებოდა.
მზე ჩადიოდა, თან ბირს იბანდა; ჟუქუნა წვიმის წინწკულები სხივებს უმტკრევდენ, სხივთა ნამსხვრევნი თავის შუქით წინწკლებს სატავდენ. ცის სიკრცეში შვიდ-ფეროვანი სარტყელი გადაჭიმულიყო, რომლის წვერებიც ერთი ლელეში იქო გადაშებული, ერთიც ჩვენი ვენახის ბოლო ში.—სოფელში დიდი მომრაობა ასტედა, რადგან ნახირძა ფეხი შემოსდგა.

სურათი შეიცვალა—დაბინდდა, წვიმამაც გადიდო.
ქათმები ქანდარას სხდებოდენ, მანდილოსნები მროჩებს სწერა ლავდენ.

დაღამდა. ბუნებამ ფერი იცვალა — მხის მაგივრად მთვარეს კაშაში გაჭერნდა, მარამ გარემოება კი ზოგჯერ ხელს არ უწეობდა — ღრუბლებს რაღაც ალიაქოთი შესდგომოდათ, რაღაც ფაციუფუცმი იუკენ და თავისმტვრევით მისრიალებდენ ჩრდილოეთით სამხრეთისკენ; თითქოს სამხრეთის ხელმწიფეს დაუბარებია ასამხედრებლათაო. რამდენათაც მიჭიროლავდენ, იძღენათ უფრო გვეჩვენებოდა, რომ მთვარეც ჩრდილოეთისკენ მიაჰენებს და ღრუბლების ტალღებს ააობსო.

ჩვენები ბალკონზედ ბაასობდენ და სტკბებოდენ ბუნების ფეროვან სურათებით. მე მთვარის ცელქობამ გამიტაცა. ბიჭის, თითქო კუკემალულობას მეთამაშებაო. ახლა, ჩემო? რაო, სან გამოაჭერდა თავის განრთხმულ სახეს და სან სქელ ღრუბლებში მემალებოდა.

უცბად მაღლებმა შეჭერეს. მთვარეს მოგსწუდი და ჭისკარისკენ სისარულით გავეჭანე, რადგან ამხანაგების ხმა შემომესმა. მელიტონი და ზარმენი გაოცებული მომცვივდენ და არეულ-დარეულათ პირში მომახეთქეს სიტუაციი.— ერთი იმასდა ღელები მგელი ვნახეთო, მეორე ჯავრობდა, არა, მგელი კი არა, გველი ათამაშებდა ნატვრის თვალსაო.

— წადი! შეძისა ზარმენმა, გველი კი არა ჯოვო არ გინდა. ჩემა მზემ მგელი იუო, ვერა ხედავდი როგორ აბრიალებდა თვალებს.

მელიტონი კიდევ თავისას ამტკიცებდა.

— ვერ შენიშნე, როგორ აშუქებდა იქაურობას, როცა ნატვრის თვალს შეათამაშებდა ხოლმე?

მმაო ლადო! ტუუილი სირცხვილია. აბა, რა დაგიმალო მმაო, სწორე გითხრა ამათ ლაპარაკით მეც დავთრევ



ბი ამერია, რადაც შიშის ურუანტელმა დამიარა ტანში და თან კი ცნობის მოყვარეობა არ მასვენებდა.—გულის ძველით სამთავემ გადავსწევიტეთ, წავსულიუავით და დიდ დიდი ქვები ჩაგვებორებინა ღელისკენ.

ამ განხრას გვი რო ვიუავით, მამაჩემიც თავს წამო გგადგა—შინ გვეძასოდა. ჩვენ ჩურჩულად გადავიქმედით და როცა მაღა უნებურად გამოვსტუდით, მამაჩემს მათ უკა კინა: ჰუი, თქვე ლახჩებო, თქვენაო, ერთს ქვას მაინც ესროდით, რამ დაგისეთქმა გულებით.

ადმოჩნდა, რომ ჩემი ამხანაგები ღელის პირსა, გალავნის გომეთან ცხენს აძლებდენ და ამ მთვარიან დამეში სიამოგნებით დაჭურებდენ მდინარეს, რომელიც წენარის ბუტბუტით მითვლემილ ბუნებას ნანას დამდერდა. კომპ-გალავნით დახრდილულ ღელის ბუჩქებში რადაცა შუქი გამოჩენილიუო. ემაწვილები ჯერ შემკრთალიუებნ და მერე კი სიმამაცე შეეპრიბათ და ქვები დაემინათ. მავრამ რამდენ ჯერაც თურმე ქვებს ესროდენ, შუქი ჰქონებოდა და ცოტახანს უკან ისევ წნდებოდა.

მამაჩემიც შეგულიანდა და წინ წაგვიძლვა: ჩვენ კი, აბა, რაღას ვაცლიდით—გულადათ წინ მიესტოდით. რო უას-ლოვდებოდით, მაშინ ფეხაკრეფით, ხმა გაკმენდილნი ღელეს წავადეს წავადეს ვადეენეთ თვალი, მაგრამ არ იქმნა, ჩრდილი არამ გააშუქა.—ბოლოს აკი იპრიანა ღმერ-თმა და ორგან-სამგან არ გაანათა! ჩვენ ერთგულად ქვები უშინეთ; შუქი სან ჰქონებოდა, სან ენთებოდა. გაბეზრებულებმა ახლა დიდონი ქვები ჩავაგორეთ თავსვე ღელისკენ და ისინი ისეთი ბრაგა-ბრუნით მიექანებოდენ, რომ მთელი

სეობა სძას აძლევდა. ი ოხერმა ცოტახანს უკან აკი ისევ არ გამოაშუქა! მოდი და გულზე ნუ მოხვალ! მამაჩემმა როგორც იუო დაგვამშვიდა, ღელეს ჩაგვიძლვა, თან გვა ჯერებდა: მგელი რო ეოფილიერ, აქამდე ცხრა მთას გა- დირბენდაო, აქ სსვა რამ ანბავიაო.

ბუჩქებს რო უახლოვდებოდით რამდენგამე საამურად გაანათა. ჩვენ შევკრთით და მამაჩემმა კი მსწრაფლ შებლში სელი იცა—ვაი, შენ ჩემო თაო, ამოდენა კაცი, აკი, გა- მაბრივეთ. ეპ ხო ციცინათლები არიანო, ჩვენ სახტად დაგრჩით, შეგვრცხვა. მერე ფრთხილად მოვწევიტედ ბალა- სი, რომელზედაც ჭია იჯდა და შინ წამოვიუვანეთ ეს ჩვე- ნი შიშის და ზარის დამცემი მტერი.

ჩვენს სიხარულს საზღვარი ადარა ჟქონდა. ჩვენებს ეველას ვაჩვენეთ, ეველამ ვატრიალეთ, ეველამ ვჩხრიკეთ, და როცა გული ვიჯერეთ, ბალკონს წინ ევავილებში მო- გასვენეთ, ორიოდე დამე ჭრაქივით გვინათებდა და მერე კი საცალა გაქრა.

მეორე ღღეს სკოლაში რო წავედით, თუმცა კი გვრცხვე- ნოდა ჩვენი უმცირებისა, მარა უველა თავგადასავალი ჩვენ საუვარელ მასწავლებელს ვუამბეთ. მასწავლებელმა ჯერ ბევ- რი იცინა და მერე კი დაგვიწეო ტკბილად ბაასი.

ნათლის მცემლობის ღღიდგან მოუოლებული, თითქმის ღვინობისთვის გასვლამდე, ციცინათლები უოველ თბილ ნამიან დამემი ამუქებენო. წუხელის სწორეთ იმათი სასი- ამოგნო დარი იდგაო, რადგან საღამოთი ჯერ ცოტათი წამოწვიმა და მერე კი მშვენიერი თბილი დამე დადგაო.



კოშკის ჩრდილს გამოუჩენია, თორემ მთვარიან ღამეში ძაგლე რიგათ ვერ ანათებენო. ჭო, მართლა, ის კი დამავიწყდა, რო მთვარეც ზოგჯერ გვებუტებოდა და ღრუბულები გვემალებოდაო. მავრამ ეგ რაა? უნდა სადმე დაბურულ ტექში, საფხულის ბნელ ღამეში, ნახოთ, რომ მართლად და აღტაცებაში მოხვიდეთო.

— წარმოიდგინეთ, აბა, ჯერ მინდორში რაა ბნელი ღამე, განავრმო მასწავლებელმა, და ტექში ხო ზოგჯერ ისეთი ბნელა ხოლმე, რო თვალში თითო წაატაკოთ, ვერას დაინახავთ. აი, ამ დროს როცა დაბურული ტუ ღამის წევდიადთა მოცული, თითქოს შავს ჩადრში გახვეულაო, როცა ტექის მცხოვრები, დღის შრომით მოქანცულნი, მიღს მისცემიან და მსეცნი მტაცებელნი და დასინსილებენ, როცა ხეებსაც კი მისმინებიად და მათ ფოთლებს მხოლოდ ნამიანი დამის სუნთქვა აშრიალებს, აი, წროეთ ამ დროს, როცა უცნაურს, რაღაც საიდუმლო შიშს შეუპერისართ და ტეის შავი ღუმილი გულზედ ლოდივით გაწევსო, უეცრივ იფეთქებს სადმე ცეცხლის წინწეალი—აენთება, გააბრჟვებიალებს და მოჰვენს სასიამვნო ნაზ შექს სამეფოში. ამას მოჰვება მეორე, მესამე შუქი და ცოტას სანს შემდეგ ციცინათლები ცის გარსკვლავებივით ტექს ანათებენ.

ახლა, მმაო ლადო, მოდი მართლა და აღტაცებაში ნუ მოსვალ, მაგრამ ჩვენ იმის შეტეობაც გვინდოდა, რა მიზეზია, რო ციცინათლები ანათებენ?

მასწავლებელს ჩვენი კითხვა ძლიერ მოეწონა, სურა-თები გადაგვიშალა და ასე აგვისხნა:

«მნათებელი მწერი, რომელსაც ჩვენ ციცინათელას ვეძა
 ხით, ჩვილკანიან (Malacodermata) ჭიების ჯიშს ეკუთვნის,
 დედალ-მამალი ციცინათელები ერთმანეთს სრულებით არ
 გვანან. მამლებს ბუზივით ფრთები ასხიათ და მთელზაფუ
 ხულს დაფრინავენ, ხოლო დედალი წურბელასავით უფრ
 თოა და ბალახებში ჭიასაებ დაცოცავს, ამასთანავე მამლებს
 თითქმის რო არა აქვსთ სანათური ჭრაქი; დედლები კი
 ზურგზე წამოწვებიან ხოლმე, ცას უმერენ მუცლის ბოლოს
 და ისე აშუქებენ. ამ ფოსფორულ მუქს ის დანიშნულება
 აქვს, რო ატეობინებს მამალ ციცინათელას, სადაცა მისი
 მეუღლე. მამასადამე როგორც ჩვენ ვიცით ქორწილებში
 მამხალების ანთება, ამათაც ისე სცოდნიათ.



აგერ პირველ სურათს დააკვირდით, ე, დაბლა რო და
 ცოცვენ, გვენი დედალი ციცინათლები არიან; მაგ დედლებს
 ში ხედავთ, ორი ციცინათელა დაცოცავს, ორიც ზურგზე



წამოწლილან და აშექებენ. ზემოთ კი ორი მამალი ციცინათელაა დახატული; აგერ ერთი ბუზივით დაფრინავს და მეორები ფრთხებ-დაკაცილი ფეხით სადღაც მიბმანდება.

დედალ ციცინათელას თავის სანათური იარაღი მუცლის ბოლოში აქვთ მოწეობილი. მისი მუცლის ბოლო მრავალ უჯრებიდგან შესდგება, უჯრებში მოთავსებულია თეთრი ცილის მსგავსი ნივთიერება და ზემოდგან უჯრები შემოსილი არიან ნაზი კანით.


შექი წარმოდგება შემდეგი მიზეზით: ციცინათლებს სსენებულ უჯრებიდგან ოშეივარი ასდით. ეს ოშეივარი ნესტიან ჰაერში მეავბადს უერთდება, იწვის და სპიჩასავით აშექებს. აბა, ბნელაში ფოსფორიანი სპიჩა გასრისეთ, როგორ გააშუქოს. ვინც ფოსფორს*) და მის თვისებას იცნობს, იმისთვის ადგილი წარმოსადგენია ეს მოვლენა.

შესანიშნავი ის არის, რომ არამთუ მარტო დაზრდილნი ციცინათლები აშექებენ, იმათი ბლარტები და ასე გასინჯეთ კვერცებიც კი ანათებენ. ამ მოვლენამ მეცნიერებში ის აზრი გამოიწვია, რომ უთუოთ ბუნებამ ამ შექს ის დანიშნულებაც მისცაო, რომ ციცინათლები მტრისაგან დაიხსნას, დაიფარისო. მაგალითად რამდენი დორმუცელა მწერები ვიცით, რომელიც სიამოვნებით ჩაიტკანურებდენ პირს, მაგრამ შექი აფრთხობთ, აშინებთ და ახლო გეღარ მიჭყარებიან.

საქართველოში მხოლოდ ეს ერთი ჯიშის ციცინათელაა გაფრცელებული. ცხელ ქვეუნებში კი და მეტადრე ამერიკის

*) ფოსფორი ბუნების მარტივი სხეულია. ძვლებს სწვენ და ძვლების ნაცრიდგან გამოხდიან ხოლმე. მოყვითალო ფერისა და თაფლის სანთელივით რბილი. ჰაერში ბნელ ალაგას ფოსფორი ძრიელ აშუქებს: ამიტომაც ბერძნის მეცნიერებმა უწოდეს ფოსფორი (phosphorus), რაიცა ნიშანას შუქ-მომფენ სხეულს.

ტექქებში ოთხ-ხუთ წარი ციცინათლებიც სოვორობენ და ისეთის სიძრიელით ანათებენ, რომ რაღათ გინდათ ლამე სანთელი, მათი შუქით ადგილად შეგიძლიანთ წიგნი იკითხოთ.



აი, მეორე სურათიც გაშინჯეთ. სედაგთ რამსისხონი არიან. ჩრდილოეთა მერიკის ციცინათლებია. აგერ აბრაშუმის ჭიას რო გვანან, ეგენი დედალი ციცინათლები არიან — გულადა მა წვანან და მუცლის სალტები მაღზედ ამუქებენ. აი, კუთხის საკენ რო მიგდებულა, არცენა ჯერ რიგიანად გამოსახული ეს ახლად გამოჩეკილი ბლარტია. ფოთლებზე რო დიდი



ბუზი ზის, დიდობონ თვალებიანი, ეგ მამალი ციცინათელაა, ხედავთ ფრთებ დაკაცილი რა ღრმა ფიქრებში შესულა.

ეს ციცინათლები ზოგჯერ ისე მოედებიან ხოლმე ამერიკის ტექნიკის, რომ ბნელ დამეში შორიდვან ხამ კაცს ჭირნია ტექს ცეცხლი მოჭედებიაო. ერთხელ, როდესაც ჭისანიელების ჯარები ოკეანის კიდეზედ გამოვიდენ, დამე უნდოდათ მტერზედ იერიშით მისვლა, მარამ ტექსში შესვლა კერ გაბედეს, ასე ეგონათ, მტრის ბანაკში ზარბაზნების ზატრუქები ანთიაო; თურმე კი ნუ იტვით, ციცინათლებს ქორწილის მაშვალები გაეჩადებინათ.

ამერიკული კოკობზიკა ქალბატონები ციცინათელების შუქით მარგალიტივით სარგებლობენ. საწეალ ციცინათელას ან ქინძისთავით იმაგრებენ, ან არა და თხელ ჩიქილის ნაჭერში გამოხვეულს, ტანისამოსზედ იქერებენ. ამ გვარად ძვირფას მორთულობას, უფრო მვირფასად იმშვენებენ,— ზოგჯერაც ციცინათლებს ძაფში ხლართავენ და მარგალი ტის მმივივით ან უელზე იკიდებენ, ან არა და ქამრად ირ ტუმენ. როდესაც კოზტია ქალბატონი წვეულობიდვან დამე მინ მობძანდება, ციცინათელას მოისწნის, უალერსებს, მოაცოცხლებს, წეალში აბანებს და მერე პატარა გალიაში მოასვენებს ხოლმე. ამ გალიიდან მთელი დამე ციცინათელა სასიამოვნო ნაზი შუქით უნათებს ნებიერს ქალბატონს საუწოდებელ ათასს.

საუკუნადღებო კი უფრო ისაა, რომ ამერიკაში ციცინათლებს ანთებულ ფარნის მაგივრად ხმარობენ. ერთი ეპოუ ბიელი ბ. მიძლე, აი, რას მოგვითხრობს: «ბრაზილიაში და მექსიკაში სადაც ეს მწერები არიან, დღისით საშინელი

სიცხვანაქებაა და ამიტომ მლიერი სშირად დამის სიგრილით მოგზაურობენ. მაგრამ განა გაბედავდა ვინმე დამის წევდიადით გარე-მოცულ დაბურულ ტექნიკი გავლას, თუ რომ შექმომფენი მწერები არ უნათებდენ გზას! ციცინათლები ეველა მსრიდგან გარს ერტყმიან მგზავრს, იმის ასალო ბუჩქებზე სხდებიან, და ამ გვარად შორიდგან და ასალოდგან მაშალებივით უნათებენ. ზოგჯერაც მგზავრი ციცინათელას ჩექმაზედ მიიძაგს ხოლმე—მწერი მთელ გზას ფარანიგით ანათებს და შეამიან გველებსაც აფრთხობს. ხოლმე. მტრედის ფრად ირაურაჟებს თუ არა, მაღრიელი მგზავრი დიდის მადლობით და თავაზით ათავისუფლებს ციცინათელს და სადმე მის საუვარელ ბუჩქებში მოასვენებს ხოლმე. ადგილობრივ მცხოვრებში ანდაზათაა ნათქომი: «აიუვა ცეცხლის ბუზი, მაგრამ საიდანაც წამოივანე, იქვე მიიუვანო.»

შენი არ ვიცი, მმაო ლადო, და მე კი ამდენ უცნაური ანბებისაგან გაოცებული დავოჩი,—ისიც უნდა გასარო რომ, ოცნა მასწავლებელს დიდის მადლობით ვეთხოვებოდი, ასე მითხოა, ამას იქით ლადოს ცხოველთა სამეფოდგან მიგწეროთ ხოლმე წერილებით. ანიკოს მცენარეთა სამეფოდგან და ჩვენ დავიწევებულ კოტესაც ლითონთა სამეფოდგანაო და ამ გვარად მთელ ბუნებას თუ დაახლოებით არა, ზერემერედ მაინც გავიცნობთო.

მმეოდობით მმაო, ღმერთსა ვსთხოვ, შენც ისე შეგიუვარდეს ბუნება, როგორც მე შემაუვარა ჩვენმა მეირფასმა მასწავლებელმა.

შენი წარმატების მოსურნე მმა იღიგო

ლ ე გ ე ნ დ ა



(თარგმანი)

ქონდა პატარა მაცხოვარს ბალი,
შიგ ათას ნაირ ვარდებსა რგავდა;
და, რომ დაეწნა შემდეგ გვირგვინი,
იგი მათ დღეში სამჯერა რწყავდა.


როცა ვარდები გადაიშალენ,
და ზოგს კუკური გამოესახა;
იესო ქრისტემ ურიის ბავშვებს
ხელის დაწევით იქ დაუძახა.


ბალლებმა ვარდის ქორფა ყვავილებს
გაფაცილებით გაუსესეს ხელი;
მათ თითო, თითო მოსწყეიტეს ვარდი
და ბალი დარჩა მთლად ცარიელი.

„როგორ დაიწნავ ახლა გვირგვინსა
შენს ბალში ვარდი რომ აღარ არი?!“
— თქენ დაგავიწყდათ, რომ დარჩა ჩემთვის
ეკლები,— ეტყვის მათ მაცხოვარი.

და ამ ეკლების დასწნეს გვირგვინი
მაცხოვარისთვის მათ ეკლიანი,
და ვარდის წილად სისხლის წვეთებმა
შეუმკეს ქრისტეს შუბლისა კანი.

მერცხალა





ჩვენი ძველი გმირები*)

VII—VIII



არნაოზი არაფერს საქმეს არ დაიწყებდა თავის დედის უკითხავად. როდესაც მან დიღმის გამოქვაბულში სიმდი-
რე ნახა და განიზრახა ეგრისის მთავართან კაშირი
აზოს წინააღმდეგ, პირველად ამის შესახებ მან დედას
ჰყითხა რჩევა. ბატონის რძალი წავიდა ღმერთების ტაძარში შეიდ
სართულიან კოშკე და შეუდგა ლოცვა-მარხულობას. იმან გაატარა
რამდენიმე ღამე ნანა-ღმერთის ანდრიანტის წინაშე. ის დაემხობოდა
ხოლმე პირქვე, სტიროლა ცხარი ცრემლით და თან შეჰყითხაედა,
თუ რა ბოლო ექნებოდა ფარნაოზის განზრახეას. ბოლოს, მესამე
ღამეს, როცა ბატონის რძალი, ლოცვით და მარხულობით მოქან-
ული, გამოეიდა ანცას საყდრიდან და შევიდა იქვე აგებულს სასახ-
ლეში, რომელიც იყო მისის ქალის ადგილ-სამყოფელი, იმას მაშინვე
მოუვიდა ძილი და დაწეა ტახტზე. მეორე ოთახში განისვენებდა
შრომისაგან მისი ქალი, რომელიც ქურუმთან ერთად ეარსკელავთ-
მრიცხველობდა, რომ ცაზე გამოეცნო ავრეთვე კეთილ-საიმედო
ნიშნები. შუალამისას ბატონის რძალმა იხმო ქალი, რომელიც მხია-
რული სახით შევიდა დედასთან და უთხრა:

*) იხილე „ჯეჯილი“-ს მე-2 №-რი 1891 წლისა.

— ჩემ ძმას ბეღნიერება მოელის. ეს ექცი დღეა, რაც მარისის ვარსკელავი ერთხელაც არ შეფარებულა ლრუბლებში, მისი სხივი თან-და-თან მატულობდა. ამ საღამოს მაინც საკირველება მოხდა. იგი ამოვიდა ჩვეულებრივზე ადრე და როდესაც კოშკის წვერს გაუსწორდა, უეცრად ორმა წითელმა შუქმა ამოჰყო ზედ თავი და ბრწყინვალე რქებათ გაუკეთდაო.

— შვილო, ფარნაოზის ბრწყინვალე ბედი სიზმრითაც გამოვიცანი. ნანა ღმერთი გამომეცხადა და მითხრა: „მე ძალიან კმაყოფილი ვარ შენიო. შენმა მხურვალე ცრემლმა გული დამილბო და მე ვიშვილე ფარნაოზიო. აზოს დავამხობ ფარნაოზის ფეხთა ქვეშე და აღვამაღლებ მისსა რქას მტერსა ზედა. იგი იქნება ნიადაგ ჩემს ფრთებს ქვეშე შემოფარებული და მტრის ისარი მას ვერ ეწევა. შემდეგ მან მოჰყიდა ხელი ერთს ჭაბუკს რომელსაც მზის სხივი ისე ანათებდა, რომ თვალი ვერ გაუმართე, და დამიყენა წინ. ჭაბუკი არმაზ-ლმერთის მგზავსი იყო და განვიზრახე მის წინაშე მოწიწებით მუხლი მომეყარა. ნანა ღმერთმა შემაჩერა და მითხრა: არა, შენ არ გმართებს ამის თაყვანისცემა, არამედ ამას მმართებს შენ წინაშე მუხლის მოყრა. ის შშენიერი ჭაბუკი მართლაც დაეშეა ჩემ წინაშე და თაყვანი მსუა.“

„ეს ჭაბუკი არის ჩემი არჩეული შენ შვილად და ძმად ფარნაოზისა“ მითხრა დიდებულმა ნანამ..

„მე მაშინვე გამოვილვიძე, გულმხურვალედ დავვარდი ტახტზე და მაღლობა შეესწირე ნანა-ღმერთს მისის უსაზღვრო მოწყვალებისათვის. მივხედი, ვინც უნდა იყოს იმისი ნაბოძები შეილი. ის უნდა იყოს ქუჯი, შენი მომავალი საქმრო.“.

ამ სიტყვებზე მისი ქალი უცბათ დაეშეა ტახტზე, თავი დახარა და არა თქვა რა. დედამ შეატყო ქალს შეკრთომა, მოხვია ხელი და გულზე მიიკრა ამ სიტყვებით: „ჰოი, დიდებულო ანცა, არ ვლინს-ვარ შენს მოწყალებას. შენ ორი შეილი ერთად გამიბეღნიერე, შენ გადაგიწყვეტია ორისავე შეილის ერთად ამაღლება, ორთავესი ერთ დღეს დაგვირგვინება“. ამას შემდეგ მთელ საქართველოში განი-

თქვა საიდუმლოთ ხმა ბატონის რძლის ბეღნიერის სიზმრისა. ამან ხალხი უფრო ააღელვა და შეაკავშირა აზოს წინააღმდეგ. მას უფრო მიეცა იმედი მტარეალის ხელისგან განთავისუფლებისა. ფარნაოზი და მისი მომხრენი ამ წინასწარმეტყველებამ კიდევ უფრო განამხნევა...

ამას შემდეგ ფარნაოზის დას ჩაუარდა გულში ქუჯის სახელი. ის მუდამ მის ფიქრად იყო გადაქცეული და ხშირად ესიზრმებოდა ის განსხივებული ჭაბუკი, რომელიც დახატა დედა მისმა. როდესაც ფარნაოზის და კოშკებმოთ იყო და ვარსკვლავებს ადევნებდა ოვალს, მის აღფრთოვანებულს წარმოდგენას ვამოეხატებოდა ხოლმე ცაზედ სხივით შემოსილი ჭაბუკი, რომელიც ჯერ არ ენახა. ამ მშვენიერს ქალწულს მაინც ლრმათ ჩარჩა გულში თავის საქმოს სურათი. ამიერითგან, როცა ენმე სასახლეში ქუჯის სახელს ახსენებდა, ფარნაოზის და მაშინვე აენთებოდა და სახეზედ უმანკოების გამომზატველი სიწითლე გადაჰკრავდა.

IX

ერთ თვეს არ გაუვლია მას აქეთ, რაც ფარნაოზი თავისი ნაპოვნი სიმდიდრით ჩუმათ გაიპარა ევრისის ერისთავთან ქუჯთან, რომ მართლაც ბატონის რძალს შიკრიკი მოუვიდა შეილისგან, რომელიც სწერდა: „მე და ქუჯი შევთანახმდით და შევკავშირდითო. ჩვენი ერთობის დამამტკიცებელი საბუთი დამოყვრება შეიქნაო. ქუჯმა ითხოვა ჩემი და და ჩვენ უკეთესს სიძეს ვერც ვიშვენიდით“. ბატონის რძალს დიდათ იამა ეს ამბავი, მით უფრო, რომ მისი სიზრმის წინასწარმეტყველმა თან-და-თან მართლდებოდა.

ახლა მხოლოდ ერთი და აკლდა მისსა და მისის ქალის ბეღნიერებას. უნდა გამოეცნოთ რომელს მთვარეზე, ან რა ვარსკვლავზეა დაბადებული მისი სასიძო. ბატონის რძალი ავიდა სამთავროს სახლის მეორე სართულში, სადაც მისი ქალი ცხოვრებდა.

იქ ქალის სადგომს გეერდით ორი მოდიდო დარბაზი სულ ხელნაწერებით იყო გაესებული და ზოგი პაპირუსის ფურცლებზე-

დაც იყო ნაწერი. აქ ქალმა მიაგნო და გადმოიღო ასურულს წესზე შედგენილი სამთვარით წიგნი. თვით ამ წიგნ-საცავის გასაღები მის ქალს ჰქონდა შენახული. დედა და შვილი გაერთვენ ამ წიგნის კითხვაში და გადმოიწერეს რამდენიმე ალაგი, მაგრამ ყველაზე უფრო ის ალაგები მოეწონათ, რომელნიც აცხადებდენ: „თიბათვესა, კირჩხიბსა თავსა ზედა, რომელი გავათა ზედა იშვას: კაცი კყკელაი სახითა და ბუნებითა, იხსნას მრავალი ჭირისაგან, იყოს მდიდარი, კაცი სრული, ესხნეს მტერნი მრავალნი და უერაი აენონ, ბარკალსა და წვიესა ნიშანი იყოს“.*)

მეორე: „მყათათვესა, ლომისა თავსა ზედა, რომელი იშვას, კაცი ძლიერი, ღამე მავალი, სახედ კყკელაი, ხელმწიფეთაგან მოთვალული, ხარბად მჭამელი, მბოძებელი, ერისა უფალი, შვილ მრავალი, პირსა და თავსა ნიშანი იყოს.“

ფარნაოზის დედამ გადმოსწერა ეს ორი დაკვირვება სპილოს ფირფიტზე და ასე მისწერა ფარნაოზს: თანახმა ვარ ქუჯის სიძობაზე, თურომ იგი დაბადებულია ან თიბათვის კირჩხიბის თავსაზედა გაეითა, ან მყათათვეს ლომისა თავსა ზედაო. შიკრიკს მისუა ეს წერილი და გაისტუმრა.

ფარნაოზსა და ქუჯს ძალიან გაეხარდათ დედის წერილი, რადგან ალმოჩნდა, რომ ქუჯი იელისს ლომისა თავსა ზედა დაბადებული იყო და მიზეზი აღარა ჰქონდა რა ქორწილის დამაბრკოლებელი, თუ კი რომ ნანა-ლმერთი მათი შემწე იქნებოდა და ლაშქრობიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდენ; მაგრამ აქაც დედის ნახული სიზმარი ძალიან ამხნევებდა მათ, რადგან ბეჯითად დარწმუნებული იყვენ, რომ ნანა ლმერთი მათ მფარველობდა.

როცა ქუჯი და ფარნაოზი გამარჯვებული დაბრუნდენ, იმათ მაინც ქუჯის სამფლობელოზე უნდა გამოევლოთ. კლარჯეთიდან სამხედრო გზა იმ დროს ვერისზე მოდიდოდა.

*) ეს ქვემო მოყვანილი ალაგები მართლაც გადმოსწერილია ერთ ძველ ტყავზე ნაწერ ეტრატიდან. პალეოგრაფიით ეს ხელთ-ნაწერი უნდა იყოს მეთე, ან მეთერთმეტე საუკუნისა და თვიტ უმშველად ძალიან ძველი დროის მეცნიერებიდან უნდა იყოს გამოკრეფილი. ეტრატი სვანეთიდან არის მოტანილი. ავტ.

ქუჯმა მოახდინა განკარგულება და თავის ქვეყნის დიდებულნი მახლობელნი და ნათესავნი მაყრებად წამოიყვანა ფარნაოზის ჯართან ერთად. ამას გარდა, როგორც ჩეულება იყო, მან მრავალი თვალმარგალიტი და მამაპაპეული ნივთები წამოუღო თავის სასიდედროს და საცოლოს; აგრეთვე წამოიღო სარდონის სელის ქსოვილები, ძოწეული ფარჩები, ოქრომკედით ნაქარგი სტავრია, ძეირფასი თვლებით გაწყობილი სარტყელი და მარგალიტით ნაკერი ქოშები თავის საცოლოსათვის; დანარჩენი ძეირფასი ხალათები კი ფარნაოზის კარის კაცებს და ხელისუფლებსა. ამ სიმდიდრით სულ ორმოცი ჯორი იყო დატეიროთული. ბარეს უკან მოსდევედა ცხენისა და ხარის ჯორები მოყვრის საჩუქრათ. იმ ღროს, როცა ეინმე შეირთავდა ცოლს, მზითევი ქმარს უნდა მიეტანა საცოლოსთვის და მზითვის აღრიცხვა ძროხებით იცოდენ. ძროხას, ანუ ხარს ერქვა იმღროს ხეასტაგი. ხეასტაგი აგრეთვე მაშინდელი ოქროს ფულის სახელი იყო, რომელიც უდრიდა ახლანდელს სამ მანეთს. ამისთანა ფულზე იყო გამოხატული ძროხის თავი და ფულსაც ამისთვის ხეასტაგი*) ერქვა...

იმ დღეს რომ მეჯლიშად დასხდენ სამეუფო დარბაზში, დღედა ღამის გაყრამდის სუფრა არ აულიათ. ამ მეჯლიშში ქალები არ ისხდენ; მაგრამ იმათ ნება ჰქონდათ მეორე სართულის დერეფნიდღან ეცქირათ. იქ, სადაც ქალების სადგომი იყო, მის გვერდით რამდენიმე საფეხური ძირს ჩამოეშვებოდა და დარბაზის საჭრეოში ჩამოვიდოდა ეს კიბე, ჰქონის მახლობლათ. აქ გძელი დერეფნი იყო მარმარილოს სვეტებზე აშენებული და შიგ იყო ტახტი გაკეთებული, მოფენილი ძეირფასი საფენებით. ამ დერეფნას წინ აფარებული ჰქონდა საჭრეოტი ფანჯრები.

იმ დერეფნაში ისხდენ ფარნაოზის დედა, მისი ქალი და სეფაქალები. ისინი ყოველსავე ხედავდენ, რაც დარბაზში ხდებოდა, ესმოდათ საჭრავების ხმა, მაგრამ თეითონ იმათ კი ვერავინ ხედავდა. ფარ-

*) იმერეთში ძროხას ეხლაც ხვადაგი ჰქვია.



ჩვენი ძველი გმირები

ნაოზის და გულაფეთქებით უცქეროდა ქუჯს და მხიარულებდა მისი გმირული თვალტანადობით.

ბოლოს მოჩენენ შეჯლისსა. თითქმის შუალამე შეიქნა, ძილის დრო მოვიდა, პატივცემული სტუმრები დაემზადენ მოსასევენებლათ. გვერდით ერთი წყება სასტუმრო ოთახები იყო, სადაც მოასევენ ქუჯის მახლობელი ნათესავები; სხვანი კი სასახლეს გარეშე სახლებში წაიყვანეს. ჩვეულება იყო, სასიძოსთვის თვით სარძლოს უნდა დაეგო ლოგინი და შემდეგ ფეხი დაებანა საქმროსთვის! *) მას თან გაჰყენ სამი სეფა ქალი, რომელთაც ეჭირათ: ერთს ოქროს ტაშტი და წყლით საესე ჭურჭელი, მეორეს არდავი (ფეხის საწმენდი) და მესამეს სუნნელოვანი ზეთისა და მუშკის ჭურჭლები. ფარნაოზის დაც და მისი ხლებული ქალები რომ შევიდნ ქუჯის საწოლში, ქუჯმა მაშინვე მუხლი მოუყარა ფარნაოზის დას, როგორც მეფის ასულს და თაყვანი სცა, შემდეგ ჩამოჯდა ტახტზე.

მიგიდენ სეფა-ქალები და დაბანეს ფეხები. ფეხის ბანა რომ გაათავეს და არდავით შეამშრალეს, შემდეგ მუხლი მოიყარა ფარნაოზის დამ, გადაასხა ქუჯს ფეხებზე სუნნელოვანი ზეთი და მუშკი, გაუშშრალა არდავითა და წამოდგა. წამოდგა აგრეთვე ქუჯი, რომელიც აღტაცებული იყო მისი სიმშვენიერით. ქალ-ვაჟმა თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. ფარნაოზის დას ღიმილმა გადურბინა სახეზე, რადგან შენიშვნა ვაჟს პირზე ხალი, რომელმაც სრულებით დაამშეიდა მისი აღელვებული გრძნობები. ქუჯი მოეხვია მოწიწებით და უთხრა: „შენ ცოლი და მე ქმარიო“, დაჯდა ტახტზე და მოისეა იყი გვერდით. ისინი ისხდენ ისე, რომ არც ერთს ხმა აღარ ამოულიათ.

სეფე-ქალები მოშორებით დადგენ და კრძალვით უცქერდენ მათ. ცოტას ხანს შემდევ ადგა ფარნაოზის და; ქუჯმა კვლავ მუხლი მოუყარა გამოთხვევების ნიშნათ. ფარნაოზის და ავიდა მარმარილოს კიბეზე ზედა სართულში, სადაც უცდიდა დედა მისი. შესვლისათანავე დედა მიეგება მხიარულად და ჰკითხა, ხალი აქვს თუ არა სახეზეო. ფარნაო-

*) ეს ჩვეულება დღემდის დარჩენილა სამეცნიერო და ზოგიერთ კავკა-სიის მთის ხალხში. ყოველს უცხო სტუმარს ფეხს დაბანს ოჯახის ასული.

ზის დამ ღიმილით თავი დაუქნია და დედამ სიხარულით ჩაიკრა თავისი ქალი გულში:

„მადლობა არმაზს, რომ ყოველივე ჩეენის სურვილისამებრ ახდაო“.

იმ ღამეს იყო საიდუმლო პირნახვა მეფესა და დედოფალს შორის, რომელზედაც არავინ არა იცოდა რა და არცარავის უნდა სცოდნოდა გარდა შინაურებისა. ასე იყო მაშინდელი ჩეეულება.

X

მეორე დღეს გავარდა ხმა ქუჯისა და ფარნაოზის დის ქორწილისა. მოუწოდეს მეფის საუკეთესო ტაოხის (თუშის) ჯარს, ქუჯის ცხენოსანს ჯარს და მეფის წალკოტში გამართეს მჩიარულება. ჯერ ტაოხის ჯარს უნდა მოეხდინა კენჭნაობა *) (ხმლით შებმა ერთმანეთთან); შემდეგ ცხენდაცხენ ჯირითი, ბოლოს ნიშნის ჩამოგლება (ყაბახი). პირველი ნიშანი, რომელიც დადგეს შორს მაღალ ალვის ხეზე, ჩამოაგდო ისრით ქუჯმა და გამოიწვია დიდი მხიარულება. შემდეგ წამოვიდენ დარბაზში, სადაც იყო ორი ოქროს სელი დადგმული. მარჯვენა სელზე დაჯდა ქუჯი, გძელ ტახტებზე ჩამოსხდენ დიდებულნი. ფარნაოზი იდგა სელს უკან. მარტხენა სელი იყო ცარიელი. ელოდენ დედოფალს. ამ ღროს განის დარბაზის კარებში გამოჩენდა ფარნაოზის დედა, რომელსაც მოჰყავდა ქალი. მას ეცავ სარდონის სელის კაბა, მკლავებზე და მაჯებზე ჰქონდა ოქროს სამაჯურები და სამკლავები თელებით მორთული. თავზედ ეხურა მტრედის ფრის თაესაფარი, ოქრომკედით ნაკერი, რომელზედაც შემოკრული ჰქონდა ძეირფასი თაესაკრავი. თაესაკრავზე იყო ოქრომკედით და თელებით შემკული ნანა-ლმერთის სურათი; მსხვილი და გძელი შავი კავები უკან ჰქონდა გადაგლებული ეგვიპტურათ.

*) იხილე არრიენის მოთხოვნის პომპეოსის ლაშქრობისა.

ზურგზე ჰქონდა წამოსხმული ძოწეული (წითელი) ფინიკიური გძელი მოსახამი, რომელიც გულზე ოქროს საბანევით ჰქონდა შეკრული. წელში ერტყა ძვირფასი თვლებით მორთული სარტყელი, რომლის ფოჩები წინ კოჭებამდის ჰქონდა დაშვებული. ძოწეულის მოსახამის კალთები უკან სეფე-ქალს ხელში ჰქონდა მოკრეფილი და ისე მოვცყებოდა.

შემოვიდა თუ არა დედოფალი, ქუჯი წამოდგა სელიზან. დაუკრეს საკრავები, დედოფალი დადგა მეფის გვერდით და ამდროს იქ მყოფთა დიდებულთა ერთ ხმათ შესძახეს: „ბეღნიერი ჰყოს“. შემდევ სასახლის მოსამსახურეებმა შემოიტანეს დიდი ტაბაკი, დაუდევს მეფეს და დედოფალს წინ და ზედ დასდეს შეიდი ლანგარი თვალმარგალიტით და ოქრო-ვერცხლით სავსე. თითოეულს ლანგარზე იყო პატარა ანდრიანტი სხვა-და-სხვა ღმერთისა.

შემდევ შემოვიდა უმთავრესი მოგვი. მას შემოჰყენ ქურუმნი და მოგვი, რომელთაც ააბოლეს სუნნელოვანი გუნდრუკი (ძველი საკრეველი) და მუშკი. იმათ დაიწყეს გალობა, რომლითაც ადიდებდენ არმაზს ფარნაოზის სახლის ბეღნიერებისათვის. უმთავრეს მოგვს ეჭირა ორი ოქროს თასი ღვინით, რომელიც იყო წარმომაღვენელი ცხოვრების მხიარულებისა. ეს თასები უნდა დაეცალათ მეფე-დედოფალს და თუ ერთი წვეთიც არის გადარჩებოდა ღვინო თასში, ისიც მეფე-დედოფულის ზურგს უკან უნდა გადეღვარა მოგვსა. ეს ამბავი რომ გათავდა, შემდევ ყოველმა დიდებულმა მეფე-დედოფალს გადაგდო თავზე მჩავალი თვალი და მარგალიტი, სათითოვოთ მიულოცეს მათ მეფე-დედოფულობა. დიდ ტაბაკზე ძვირფასეულება ზეინებათ დაგროვდა. ბოლოს, როცა გათავდა ყოველივე, მოიწვიეს ჯარი წალკოტში, სადაც ოქროს თალარი იყო გამართული. იქ მაღალ საკიბურზე იყო აგრეთვე ტახტი დადგმული, სადაც ქუჯი და ფარნაოზის და აღვიდენ დასაჯდომათ. მათ ქვევით წალკოტში იდგა ჯარი, მოსული საქორწილოთ. ჩაც რომ თვალმარგალიტი გადააყარეს თავზე მეფე-დედოფალს, სულ ყველა იქ, ოქროს თალარში მიზიდეს. მეფე და დედოფალი იღებდენ ამ სიმ-

დიდრეს მუჭებით და უყრიდენ ქვემო მდგომარე ჯარს, სანამდის საუნჯე არ დაიცალა.

ჯარი მიეცა მხიარულებას, ყველანი აქებდენ მეფე-დედოფლის სიუჩეს და გულკეთილობას. შემდევ წამოვიდენ დიდებით მეფე და დედოფალი ისევ დარბაზში და ოოცა კარებში შევიდენ, იმათ უნდა დაედგათ ფეხი ძირს დაგდებულს მახვილზე (ხანჯალზე) და ამ დროს მათ ზემოთ ხმლებით კამარა გაუკეთეს. ეს ნიშნავდა მახვილით განათვლას მათის შეუღლებისას. ისინი დასხდენ ოქროს სელებზე. ამას შემდევ გაიმართა მეჯლისი, რომელიც გაგრძელდა ერთს კვირას. მთელი ჯარი, შინაური და გარეული, აღივსო საჩუქრებით.

შეშვიდე დღეს დანიშნული იყო ქალის წაყვანა. სახარელი წამი დადგა. ფარნაოზშა მისცა თავის დას დარიგება, როგორც ჩვეულება იყო ქალის გასტუმრების დროს. ფარნაოზის დამ მორთო ტირილი, მის ტირილს აყვენ სეფე-დედაქალები, განსაკუთრებით გულამომჯდარი ქეითინებდა დედა მისი, რომლის მდუღარე ცრემლებმა დიდებულნიც შეარყია და ფარნაოზს ხმა აუკანკალდა დარიგების მიცემის დროს.*).

ფარნაოზის დას თითქოს არ უნდოდა ქმრის წაყოლა და ეკურებოდა დედას, ხელით ჩაჰურენოდა სამოსელში. ბოლოს ქუჯმა მოჰკიდა ხელი თავის ცოლს, თითქოს ძალას ხმარობსო და გაიყვანა სამეფო დარბაზილან. სეფე-ქალებმა უფრო მაღლა შევქნეს ტირილი გამოთხოვების ჟამსა. ქუჯი და მისი მეუღლე ჩასხდენ ოქროს როლში. მათ გაჰყვენ, ქუჯის ჯარსა და ხლებულებს გარდა, კიდევ დიდებული კაცები ფარნაოზისა მაყრებათ და მისი ერთგული ჯარი ტაოხები (თუშები). გააყოლეს ბარები ასი ჯორკიდებული, ორმოც-და-ათი მოახლე და ორმოცდა ათი მონა ხელზე მოსამსახურე.

(შემდეგი იქნება)

გი: არგი წერეთელი

*) იხილე ასურეთის ჩვეულება — მასპეროსი. იმერეთში ეს ჩვეულება დღემდის არის.

ხალხური ლექსი

(კახეთში ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისა)



იტო, ჩიტო, წკრიალაო!
რას დამცინი, ფრიალაო?
დედაშ კაბა შემიკერა,
დარაია ბრიალაო.

ზედ სარტყელი შემომარტყა,
თასაკრავმა იელაო....
— მაზლო, მაზლო, შემომხედე!
როგორ მადგა ტანშიაო?
— დავსწვი შენი დარაია,
შენი კაბის არშიაო!!
გავკარ ხელი, გავიხადე,
წამსვე ჩავდე სკივრშიაო.
მეორე დილას ავხადე,
ნავლი მეცა თვალშიაო.
ნაპერწკალი ჩაჲყოლოდა
სახელ - აზღუტაშიაო...
დავჯე და ბევრი ვიტირე
იმ ოხერ დარბაზშიაო!





ვ ი ფ ხ ი ს ც ყ ა თ ს ა ნ ი

ნამბობი მუზრდილი ყმაწვილებისთვის

(შემდეგი*)

ტანიელისა და ფრიდან მეფის შეურის ამბავი.



ლეის პირად ერთ ადგილს მშენიერი ბალი ნახეს. ტარიელმა ჩრდილში ცოტა მოისვენა. მონები პურის საჭმელად დასხდენ. ტარიელი რომ ადგა, ძრიელ დალონებული იყო, რადგან აგრე ღიღხანს ეძია თავისი მიჯნური და ვერც ჭორი გაიგო რა და ვერც დასტური. ერთბაშად ყვირილი მოესმა. ვიღაც მშენიერი ვაჟი შავ ტაიჭის მოაქროლებდა. დაკოდილი იყო, ილანძლებოდა და მტერს ექადოდა. ტარიელმა საჩქაროდ მონა აფრინა და სთხოეა, მოითმინეთ, ნახეა მინდაო. ცხენოსანმა მონას პასუხი არ აღირსა. ტარიელ ცხენს მოახტა, უცხო ვაჟს წინ ჩაევება და სთხოეა, მითხარ, რა ვიჭირს, ვინ დაგკოდაო? ვაჟსა ვაჟი მოეწონა, მოუსმინა და ბინაზე მოყვა. ტარიელის ერთი მონა თურმე დოსტაქარი იყო. მან მობანა ვაჟს წყლული, უწამლა და შეუხეია.— „მე მერიან,— უთხრა ტარიელს, — ნუ-რადინ-ფრიდონ სახელად. მეფე ვარ მულღაზანზარის სატახტო ქალაქისაო. ჩემი სამეფო მცირეა, მაგრამ მდიდარი ყველაფრით. მამა და ბიძა გაიყვენ, გაინაწილეს სამეფო. ზღვის კუნძული ჩენა ვერგო, სანადირო ბიძა ჩემსა. მამა, ბიძა— ორნივ მოკვდენ, მე-

*) იხილე „ჯეჯილი“-ს მე-II №-ზი 1892 წლისა.

ფობა გვაქვს იმათ შეილთა. ჩეენში შური ჩამოეარდა, აღარ ეჭო-
გავთ ერთმანერთსა. სადაოდ გვაქვს სანადირო მე და ჩემსა ბიძის
შეილსა. დღეს წამოველ სანადიროდ, ბაზიერნიც თან ვიახლე. ბი-
ძის შეილთა მომეპარენ, გზა შემიკრეს, ჩხუბი მიყვეს. მე ხმალს მი-
ვენდე, ხმალი გამიტყდა და ამისთვის გაიმარჯვეს. მეცა დამჭრეს,
ბაზიერნიც ერთიანად დამიხოცეს. აწ მიყურონ, თუ რა უყო, ოხრად
გაუქცდი ყოფასო“.

ტარიელმა ურჩია ფრიდონს, აჩქარება არ ვარგაო. მოითმინეთ,
მეც გიშველი, შენსა მტერსა შევებმებიო. ფრიდონს ძლიერ გაეხარ-
და, ერთგულობა მოუწონა და სასახლეში მიიწვია. ფრიდონისას
რომ მიეიდენ, წინ ლაშქარი მოევებათ. გაეხარდათ მეფის მისელა,
მიიღეს და თაყვანი სცეს; ტარიელიც მოეწონათ, ათასფერი ქება
უთხრეს. ფრიდონ მეფემ ძეირფასს სტუმარს ნალიმობა გაუმართა.

შეგება ტარიელისა და გამარჯვება.

ფრიდონი მალე მორჩა. მაშინ ის და ტარიელი მოემზადენ და
საომრად გაემგზაერენ. ზღვაში შევიდენ ნავებით, მტერი წინა მოე-
გებათ. გზა შეუკრეს ტარიელსა, დამარცხება მოინდომეს. ტარიელი
მამაცურად იბრძოდა და ნავებს ლეწდა. მტერი შეშინდა, გაბრუნდა და
ნავთ-საყუდელს შეეფარა. აქაც გმირმა ტარიელმა მტერს შეება და
შემუსრა. ყველა თავის მაცქერალი გააკეირვა, გააოცა. ფრიდონი და
ტარიელი ზღვას გასცილდენ, ხმელეთით წავიდენ. აქ იმათ წინ და-
უხედათ მტრისა ჯარი ცხენოსანი. შემოუტიეს, შეებენ, ომი შეიქმნა
ფიცხელი. ფრიდონი და ტარიელი—ორივე ერთად იბრძოდენ. ორი
გმირი, ორი ლომი ერთმანერთს ეჯიბრებოდენ. საღაც მოსწედენ,
არ გაუშეს მოუკელელი იმათ მტერი. ფრიდონმა თეითონ შეიპყრა
დამკოდელი თავის მტერი. ქალაქიც ყველა წართვეს, დაეპატრო-
ნენ საჭურჭლეს.

ფრიდონ და ტარიელი რომ გამარჯვებული უკან დაბრუნდენ და შინ მოეიდენ, წინ ხალხი მიეგებათ დიდი ამბითა და ქებით. ტარიელის მამაცობას, ახოვნებასა და სიმშევნიერეს ყველანი აღტა-ცებაში მოჰყავდა ხოლმე. ფრიდონმა დიდი სეფობა და ნადიმი გა-მართა. თავის ძმობილს მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიართეა. მა-გრამ, როცა ყველანი მხიარულობდენ, ტარიელი დალრეჯილი იყო; თავის მიჯნურს იგონებდა და გულს ცეცხლი ეკიდებოდა. ეს ამბავი ყველას უკვირდა, რადგან მიზეზი არეინ იცოდა.

ნესტან-დარეჯანის ამბის ცნობა.

„ერთ დღეს მე და ფრიდონი სანადიროდ გავედითო“, უამბობდა ტარიელი აეთანდილს. „ზღვისა პირსა წაწვდილ ქედზე გადაედექითო და იქ მიამბო ფრიდონმა ჩემი დამწევლის ამბავიო.“ ეს ამბავი, აი, რაში მდგომარეობდა. თურმე ფრიდონი ერთხელ სანადიროდ ბრძან-დებოდა. იმ წაწვდილ ქედიდგან თვალი მოკრა, ზღვაში რაღაც მოცურავდა. ვერ იცნა, თუ რა იყო, გაუკვირდა და შორიდამ თვალს ადევნებდა. როცა მოახლოება, ნახა, პატარა ნაერი იყო, სამო-სელით შებურეილი. ორი ზანგი მოზიდავდენ, თვალი იმათ მიაცეცა. ნაპირზე რომ მოდგენ, კიდობნით ერთი საკვირველი მზის უნახავი გადმოსვეს თურმე. ფრიდონს მეტის მეტად მოეწონა. მოხიბლა მისმა მშვენიერებამ და შეპყრობა მოინდომა. საჩქაროდ თავის მე-რანი გაქუსლა, მაგრამ ზანგებმა შეუტყეს და გასწრეს.

ეს ამბავი რომ ტარიელმა გაიგონა, ელდა ნაცემიერი ცხენი-დან გადმოიჭრა, ინალელა და ცრემლი ღვარა. ფრიდონს ძრიელ გაუკვირდა და ინანა, რათ უთხარიო. ტარიელმა უპასუხა, იგი მთვა-რე ჩემი იყოვო, იგი მწვავეს და იგი მდაგავსო. მერმეთ მოჰყვა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ფრიდონმა ჯერეთ არ იცოდა,

თუ ტარიელი ინდოეთის პატრონი იყო. გაეხარდა და ემუდარა, ნუ სწუხარ და თავს ნუ იყლავო; ვარჩიოთ და რაც სჯობდეს, ისა ვქმნათო. მერმე აღგა და შინ წამოიყენა. აქ იმათ ითათბირეს, რა სახსარი ემარათ, რომ ნესტა-დარეჯანის ამბავი გაევოთ. ფრი-დონმა უთხრა ტარიელს: ჩემი ქალაქი გზა არის ყოვლგნით მავალი ნავისაო. გავგზავნოთ ნავით მონები და ვაძებნინოთ შენი მთეარეო. მინამ აქ იყავ, ნუ წახეალო და ამაოდ თავს ნუ მოიკლავო. ტარი-ელს მოეწონა მეგობრის კარგი რჩევა. ფრიდონმა იხმო დარჩეული მენავენი და გაგზავნა ყოველ კედრით. წავიდენ, ბევრი ეძებეს, მაგ-რამ მნახველიც ვერ პოვეს. მოვიდენ და ბატონს უთხრეს, ვერა-ფერი ვერ გაეიგოთო. ამ ამბავმა ტარიელი მეტის-მეტად დაალონა, იმედი გარდასწყვიტა და წამოსელა დააპირა. ფრიდონს ძრიელ უმ-ძიმდა მეგობრის მოშორება, მაგრამ მაინც დაჰყაბულდა. აღგა და რაში აჩუქა, გადაკუცნა და გაისტუმრა. ტარიელი წამოვიდა, კიდევ ბევრი ეძება თავის სატრფო, მრავალი ქვეყნები მოიარა, მაგრამ არ იქმნა, ვერა გაიგო რა. ბოლოს, იმედ დაკარგულმა, გადასწყვიტა კაცთა მოშორება და ტყე და ველად ყოფნა. ასმათსა და თავის ორს მონას უჩჩია, თქვენ წადით და მე დამაგდეთო. ისინი გაკეირ-დენ და გადაჭრილი უარი უთხრეს. შემდეგ ტარიელმა ის გამოქვა-ბული იპოვა, სადაც აეთანდილმა ნახა, მოეწონა და დაპყრობა განიზრახა, მაგრამ იგი ქვაბი დევთა საყოფი იყო. ტარიელი არ შეუშინდა მათ, შეება და საშინელი ბრძოლა გაიმართა. დევების ყეირილი ცამდის ადიოდა და ლაპტის ცემით ქვეყანა ირყეოდა. გმირმა დევები დახოცა, მაგრამ იმათაც ორივე მონა მოუკლეს. გადარჩენ მარტო ტარიელი და ასმათი, ქვაბს დაეპატრონენ და დაბი-ნავდენ.

„აჟა, ძმაო! მაშინდლიდგან აქა ვარ და აქა ვკვდები,“ უთხრა ბოლოს ტარიელმა აეთანდილს. „სატრფოს სახედ მე ვეფხი გამო-ესახეო და ამიტომ ვეფხის ტყავი წამოვისხი და მას ვატარებ სიკვდი-ლამდიო. კაცთა ნახეა მეჯავრება და შეცეთა თანა ვიარებიო.“

საბრალო ვაჟმა რომ ეს აშშავი გაათავა, თავში ხელი იცა, საშინლად მოთქმადაიწყო და ცხელი ცრემლი გადმოღვარა. ასმათი ახლოს მიუჯდა, მუხლ-მოყრილი შეეხევა და, როგორც იყო, დადუმა. დადუმებულმა ტარიელმა აეთანდილს უთხრა:

„აწ წადი, ნახე შენი მზე და უამბე, რაცა ნახე და ჩემგან გესმაო.“

აეთანდილმა მოახსენა: „ძმაო, შენი მოშორება, დღეის იქით, აღარ მინდაო.“ ადგა და ემუდარა, ნუ სტირი და ნურც თავს იკლავო; მაგითი ვერას უშველი, ვისთვისაც ცეცხლი გედებაო. „მოახსენა, წავალ, ენახავ მე ჩემ მოვარეს. მას უამბობ შენსა ამბავსო, მერმე მოვალ და გიშველიო. თან ღიციც ჩამოართეა, ნურსად წახევალ, აქვე დამხედიო. თეითონაც ფიცი მისცა, მალე მოვალ, არ გაგწირაეო. ტარიელს მოეწონა უცხო ვაჟის ერთგულება და შეფიცა, არსად წავალ, მოგელიო.

მთელი ღამე ერთად იყვენ, ისაუბრეს, პური ჭამეს; დამეგობრდენ, როგორც ძმები, ერთმანეთი შეუყვარდათ. რომ გათენდა, აეთანდილი წასასელელად მოემზადა. გადეხვიერ ერთმანეთსა და ტირილით გაიყარენ. ასმათმა უთხრა აეთანდილს, მალე მოდი, მოგვეშველეო. ვაჟმა ქალს პირობა მისცა და ორი თვე ვადა დაუნიშნა.

აეთანდილის არაბეთში დაბრუნების ამბავი.

აეთანდილი ძრიელ ეშურებოდა არაბეთში მისელას. პირველად იგი თავის მამულში მიეიდა. აქ მას ლაშქარი და დიდებულნი სიხარულით მიეგებენ და მობრძანება მიულოცეს. შერმადინი მოეხვია ძეირფას ბატონს და ღმერთს მაღლობა შესწირა, მისი ნახვა რომ აღირსა. აეთანდილმაც სიყვარულით მოიკითხა ერთგული ყმა და უამბო, რაც წასელას შემდეგ გადახდა. შინ აეთანდილი სულ ერთი

დღე დარჩა და ნადიმი გამართა. მეორე დღეს აფრინა მეფესთან შებრძინი მახარობლად და თეითონაც წაეიდა. შებრძინმა ახარა მეფესა და თინათინსაც ავთანდილის მოსვლა და ვეფხის-ტყაოსნის პოენა. მათ მახარობელი საჩუქრებით აავესეს. გახარებული მეფე ცხენზე შებრძანდა, ამალა იახლა და ავთანდილის შესაყრელად წაბრძანდა. ავთანდილმა თაყვანი სცა. მეფე ვაჭა მოეხვია, გულში ჩაიკრა და გადაკოცა. მერმე ორნივე დარბაზში მივიღენ. აქ ნადიმი გაიმართა და ლხინი მთელი დღე არ შემწყდარა. ავთანდილის დაბრუნება ყველას ძლიერ უხაროდა. ვაჟი მეფეს წინ უჯდა და ყველაფერს უამბობდა: სად იყო და სად იარა, ან ტარიელ როგორ პოეა.

ნადიმობა რომ გათავდა, ავთანდილი თავის სადგომზე წაეიდა. აქ მიჯნურის კაცი დახვდა, ებრძანა, ნახეა მენატვრის და მალე მოლიო. ვაჟი სიხარულით წაეიდა. თინათინი ტახტზე იჯდა მშენიერად მორთული და მთეარესავით ანათებდა. ვაჭა სიცილით მიეგება, მოიკითხა და წინ დაისვა. მერმე უთხრა, მომიტევე, რაც ტანჯვა გამოიარეო. ვაჟმა ჰყადრა, ნუ ბოდიშობთო. რა კი ვპოვე, ვინც მინდოდა, განსაცდელი აღარ მახსოესო. მერმე მოჰყევა და უამბო, სად იყო და სად ძებნა ვეფხის-ტყაოსანი და როგორ იპოეა. აღუწერა მისი მშენიერება, თავ-გადასავალი და ტანჯვა მიჯნურისთვის. თან ისიც გაუმჯდავნა, ტარიელს რომ შეჰვიცა და შეელას დაჰპირდა.

ქალი ძლიერ დალონდა, მაგრამ, რაღვან ფიცის გატეხა და ლალატი არ შეიძლებოდა, ნება დართო წასულიყო. წამოსევლის დროს ვაჟმა უთხრა, შენ სახსოვრად ნიშანი რამ გამატანეო. ქალმა მოიხსნა მკლავიდამ მშენიერი მარგალიტი და უბობა. ქალ-ვაჟი რომ ერთ-მანეთის ჰერეტითა გაძლენ, ვაჟი ადგა, გამოეთხოეა მზის-უნახას და წამოეიდა. მაგრამ მოშორება აწუხებდა, ცეცხლს უდებდა. მთელი ლამე სულ ფიქრობდა, ვაი, თუ მოვკვდე და ვეღარ ვნახო ჩემი სატრფოვო.

დილით ვაჟი მეფეს მიიწევია სასახლეში. იქ ბევრი ხალხი დახვდა, მის საჭერეტად შეკრებილი. მეფე სანადიროდ ემზადებოდა და,



აეთანდილი რომ მივიდა, თან იახლო და წავიდენ. როსტევანშა მიიწვია სანაღიმოდ თავადნი და დიდებულნი. გაიმართა ლხინი. აეთანდილი მეფეს წინ უჯდა და მამა-შეილივით ტყბილად საუბრობდენ. მერმე ადგა აეთანდილი და სადგომზე წამოვიდა. დიდ ხანს არ დასძინებია, ტარიელს იგონებდა, კვლავ მის ნახეას ნატრობდა და წასელას ეშურებოდა. მაგრამ იცოდა, როსტევანი წასელის ნებას არ მისცემდა. მაინც კიდევ გადასწყვიტა, შუამდგომლად ვეზირს გავეგზავნი და ესთხოვო.

გეზირის შეაძლობა და მეფის უარის თქმა.

ავთანდილის განარჩევა.

გათენდა თუ არა, აეთანდილი ადგა, ჩაიცვა, ცხენზე შეჯდა და ვეზირთან წავიდა. ვეზირს ძლიერ გაეხარდა მისი მისელა, მიეგება, თაყვანი სცა და დიდი პატივით მიიღო. აეთანდილმა უამბო ვეზირს, რაც აწუხებდა და ემუდარა, წადი, სთხოვე მეფეს, ნება დამრთოს და გამიშვასო. თან დიდ ქრთამს დაპირდა გარჯისთვის. ვეზირმა სიცილით მოახსენა, ქრთამად მე იგიც მეყოფა, რომ მობრძანდით ჩემს სახლშიო. მაგრამ, უთხრა, ვიცი მეფე გაჯავრდება, ან მომკლავს და ან ამიკლებსო. აეთანდილი არ მოეშვა და, როგორც იყო, დაჯერა. ვეზირი ადგა და ხელმწიფესთან წავიდა. მეფე მხიარული და პირ-მცინარი დაუხვდა. ვეზირი შეკრთა, შეშინდა და მოახსენება ვეზ გაბედა. მეფემ შენიშვნა მოწყენა და უბრძანა, მითხარ, რა იცი? ან დალრეჯილი რისთვისა ხარო? ვეზირმა მოახსენა ყველაფერი, რაც რომ ვაჭმა დააგალა. მეფეს ფერი ეცვალა, გარისხდა, სკამი კედელს ახალა და დალეწა. ვეზირს შეჰკიცელა: „ვით გაბედე მაგის თქმა და მოახსენებაო?! თუ არ იყო აეთანდილის მოციქული, ჩემმა მზემა, თავს მოგკეთდიო“. შეშინებული ვეზირი, კანკალით მოშორ-

და მეფეს და წამოვიდა. მიეიღა დალრეჯილი აეთანდილთან და ყველაფერი უამბო.

აეთანდილმა გადასწყვიტა გაპარვა და ჩუმად წასვლა, ვეზირს დაუმადლა დაეალება, გამოეთხოვა და წამოვიდა. იგი პირდაპირ სამშობლოში წავიდა. აქ მოისეა გვერდით ერთგული ყმა შერმადინი უამბო ყველაფერი და გაუმჯდავნა, უნდა გაეიპაროო. დაავალა, მეფის ერთგული იყავიო, ჩემ სახლსა და კარს დაეპატრონეო, ჯარებს ეთავადეო, მტერსა და მოყვარეს პასუხი, ჩემ ნაცვლად, შენ გაეციო და, თუ ღმერთმა ჰქმნა და ცოცხალი დავძრუნდი, ერთი-ორად გადაგიხდიო. მერმე ადგა. როსტევანთან ანდერძი დასწერა და შერმადინს გადასცა.

ანდერძში ვაჟი სწერდა გამზრდელ მეფეს: შეუძლებელია, ფიცი გავტეხო და არ წავიდე ტარიელთანო. ფიცის გატეხა და მოყერის ღალატი დიდი ცოდვააო, სწერდა. მოციქულები და ფილოსოფოსნიც ასრე ბრძანებენო. კვლავ ამბობდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო“, და ევედრებოდა მეფესა, ნურცა თქვენ მგმობთ, შემინდეთ და კურთხევა წამატანეოო.

ანდერძის დაწერას რომ მორჩა, ადგა და ილოცა. ღმერთს გულმხურეალედ შეევედრა და სოხოვა: გზაზე შეწევნა, მტერთა ძლევა და ზღვაში შველა. მერმე შერმადინს გამოეთხოვა, შეჯდა ცხენზე, ახსენა ღმერთი და მალეით წავიდა. საბრალო შერმადინი ბერი ევედრა, მეც თან მიახლეო, მაგრამ უარი უთხრა.

დილას როსტევან მეფე საშინელი გამწყრალი ადგა და ვეზირის ხმობა ბრძანა. ვეზირი შიშითა და მოწიწებით იახლა. მეფე ისეთ მდგომარეობაში იყო, აღარც-კი ახსოვდა კარგად, რისთვის გაათრია ერთგული ვეზირი. ვეზირმა კვლავ გაახსენა გუშინდელი ამბავი. გაჯაერებულმა ხელმწიფები სიტყვა გააწყვეტინა და უბრძანა, მეტად აღარ გამაგონოვო. ვეზირი რომ მოშორდა და გამოვიდა, აეთანდილის გაპარვა შეიტყო, მაგრამ მეფეს მოხსენება ვეღარ გაუბედა. აეთანდილი რომ აღარ მოვიდა, მეფემ იფიქრა; „უცილოდ გაიპარაო“ და ვეზირი დაიბარა. ვეზირმა ყველაფერი მოახსენა. როს-

ტევანშა წევრის გლეჯით მოთქმა მორთო და დიდხანს იტირა. იგონებდა თავის გაზრდილს და უბნობდა: „რათ მომიძულე, რათ დამაგდეო? მე უშენოდ როგორ გავძლო, ან რომ მოვკედე, ვინ მიტირებსო.“

აეთანდილის გაპარვა და მოშორება ყველას საწყენად დაურჩა. დიდ-კაცობა და ჯარი სასახლეს მოაწყდა. ყველანი სწუხდენ, სტიროდენ და მეფეს უსამძიმრებდენ. მეფეც პასუხად ბრძანებდა: „ხედავთ, როგორ მოგვიძულა და დაგდაგდო აეთანდილმაო? ნეტავ რა უყავით, რა შეესცოდეთ, რათ გაგვწირაო“?

ბოლოს მეფემ იფიქრა: მარტო წავიდა ვაჟიო, თუ წაჰყვა ვინ მეო? ამ დროს შერმაღინიც მოვიდა მეფესთან და აეთანდილის ანდერძი მიართა. მეფემ ანდერძი გადიკითხა და გაიგო, რომ ვაჟი მარტო წასულიყო. ამან კიდევ უფრო მოუკიდა ცეცხლი გულ. დამწვარ მეფეს. სასახლეში შესწყდა ყოველ გვარი ლხინი და ყველანი გლოვობდენ აეთანდილის მოშორებას. მეფემ აუარებელი მოწყალება დაურიგა გლახაკთა, დავრდოშილთა და ქვრიე - ობოლთა და უბრძანა, ელოუათ აეთანდილისთვის.

აეთანდილის წასედა და ცარიელის შეება.

აეთანდილი გზაზე საშინლად ნაღელობდა: იგონებდა თავის სატრფოს, გამზრდელ მეფეს, საყვარელს სამშობლოსა და ლაშქარს. მოშორება გულს უკლავდა და ცრემლებს ღვრიდა. ფიქრობდა, ვაი თუ მოვკედე და ვერ ვეღირსო იმათ ნახვასო. გული და გონებაც მისი თინათინთან იყო, მაგრამ აბა რას იზამდა? ფიცის გატეხა ეძნელებოდა და ტარიელის შველაც ენატრებოდა. ორ ცეცხლ შუა იყო საბრალო. დღე და ღამე მიღიოდა და ღმერთს ეველრებოდა. ცას, შეეს, მთვარეს და ეარსკვლავებს შესჩიოდა, სტიროდა და შველას, სთხოვდა. ხანდის-ხან წყლის პირს ისვენებდა, ნადირის ხორცს სწუავდა და თავს მითი ირჩენდა.

ბოლოს აეთანდილმა, როგორც იყო, მიაღწია, შორილან ქვაბი დაინახა და გაეხარდა. კარებს რომ მიახლოედა, წინ ასმათი მოეგება. ვაჟი გადმოხტა, ქალს მოეხვია, აკოცა და ტარიელის ამბავი ჰქოთხა. ასმათმა ტირილით უპასუხა, დიდი ხანია მომშორდა, წაეიდა და აღარ მოსულაო. საბრალო ვაჟს თითქო ლახვარი ჰკრეს გულში. ეწყინა და ტარიელს უსაყველურა, უკან შეეძლო, რად დამპირდა, ან რად გატეხა ფიციო? ასმათმა ტარიელი გაამართლა და მოახსენა აეთანდილს, რომ იგი თავის გონებაზე აღარ არისო; სიცოცხლე მობეზრებია და მარტო სიკვდილსა ნატრულობსო. უამბო, როცა წაეიდა, ვკითხეო აეთანდილი რომ მოვიდეს, რა ქმნას ანუ სად გეძიოს. მან მიბრძანაო, უთხარი აეთანდილს, ამ არეს არ მოეშორდები; არ მინდა ფიციის გატეხაო. თუ მკედარი მნახოს დამმარხოსო, ცოცხალი მნახოს, უკვირდეს სათუო ჩემი სიცოცხლეო. შემდევ ასმათი შეევედრა აეთანდილს, წადით, ძებნეთ, იქნება ცოცხალი საღმე იპოვოთო. აეთანდილმა ჯერ უამბო ასმათს თავისი გამოპარვით წამოსელა და მიჯნურისა და გაშტრდელი მეფის მიტოება. მერმე ადგა, გამოესალმა ქალს და წაეიდა ტარიელის საძებრად.

სამი დღე და სამი ღამე ეძია. მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე და ველი, მაგრამ მაინც ვერსად იპოვა. ბოლოს, როცა ნალელიანი მიდიოდა და ღმერთსა და ბედს უჩიოდა, ერთს ქედს გადაადგა და მზიან-ჩრდილიანი ველი დაინახა. იქ თვალი მოჰკრა რომ, ტარიელის ლურჯა საღავე უკუ-ყრილი შამბის ძირს იდგა. სიხარულისაგან გულმა ფრიალი დაუწყო. იფიქრა, უცილოდ იგიაო და გრიგალიერი ჩაირბინა. იქ მართლაც ნახა ტარიელი, მაგრამ საკეირველი სურათი წარმოუდგა თვალის წინ. პირი იმას დაკაწრული ჰქონდა, საყელო გაგლეჯილი, თმა გაწეწილი და ამ ქვეყნისა აღარა ესმოდა. ერთი მხრით მოკლული ლომი ევდო და სისხლიანი ხმალი; მეორე მხრით უსულო ვეფხი იყო გაშხვართული. აეთანდილი მიიჭრა ტარიელთან, შეევლა, ცრემლი მოსწურა, ახლოს მიუჯდა და ეუბნებოდა; „ძმაო ტარიელ! ვერ მიცნობ შენსა აეთანდილს, შენთვის მკედარსაო“?

მაგრამ დიდ ხანს ვერაფერი შეასმინა. ბოლოს დიდის ცდით, წვალებითა და მოვლით, როგორც იქმნა, გონებაზე მოიყვანა. ტარი-ელმა თვალი გაახილა, იცნო აეთანდილი და ტირილით ყელს მოეჭდო. „მადლობა ღმერთს, კიდევ გნახეო“, უთხრა. „ჩემს თავს მხედუებს ნუ შეაჭმევ, დამმარხე და დამიტირე.“

აეთანდილმა უზრახა სულ-მდაბლობა, გაამნენეა, ეხვეწა, თავს ნუ იკლავო და უთხრა: „ჭირსა შინა გამაგრება ასე უნდა, ეით ქეიტყირსაო.“ მაგრამ მაინც არ გაუვიდა, ვერ დააჯერა, რომ შინ წაყოლოდა. სხვა რომ ვერა გააწყო, ეგეთი ხერხი იხმარა. აეთანდილმა იცოდა, რომ ცხენით გავლა, კაეშანს მოაქარვებდა! და იმიტომ შეეხვეწა: „ნუ გამიშვებ გულ ნატკენსაო. ცხენზე შეჯექ, გაიარე, უწინდულებ დაგინახოეო.“ ტარიელი დათანხმდა. აეთანდილმა ცხენი მოჰვერა და ნელა შესვა. გაიარეს და სიარულმა, მართლაც, მოჯობება დააჩინა. გზა-გზა აეთანდილმა ტარიელი ტკბილი სიტყვით შეაქცია. ბოლოს უთხრა, რასმე გყითხავ, გამიცხადე დაფარულიო. „მისი სამხრე რომ გაბია, ვისთეისაც გწვავს ეგრე ალიო, რარიგ გიყვარს, როგორ გიღირსო“? ტარიელმა უპასუხა: „ეგ არის ჩემი სიცოცხლე, მთელ ქვეყანას მირჩევნიაო.“

ამას შემდეგ აეთანდილმა ასმათი მოაგონა და უსაყვედურა: „თუ-კი მართლა ეგრე არის—უსულო და გაჭედილი ოქრო აგრე ძეირფასად გიღირსო, მაშ შენი მიჯნურის გამზრდელი, შენი ასმათი რატომ გძულსო?“

„რათ არ წამოხეალ, არ ნახავ, უპატრონოდ დაგიგდიაო“? ტარიელმა რომ ეს მოისმინა, შეიცვალა, აეთანდილს საუბარი მოუწონა და უთხრა: რა-კი სიკვდილს მომარჩინე, თანახმა ეარ, წაეიდეთ და ენახოთ ჩემი ერთგული ასმათიო, ამას შემდეგ ორივენი ქვაბისკენ გაემგზავრენ.


გზაზე, აი, რა უამბო ტარიელმა აეთანდილს: „შენ რომ წახვედი, ქვაბში ყოფნა მომწყინდა, ავდევ, ცხენზე შევჯექ და წამოვედიო. ვიარე და ამა ქედზე გადმოვდექი. ვნახე ლომი და ვეფხი ერთად

შეიყარენ, იცელქეს და ითამაშეს, თითქო მიჯნურები ყოფილიყვენ. გამეხარდა მათი ნახვა, გულზე დარღი გაღამყარეს; მაგრამ მერმე გამაკვირვეს, მათი ქცევა არ მომეწონა. შეიძენ და წაიკიდენ, ერთმანერთი არ დაინდეს. ლომმა სძლია, გამოუდგა, ვეფხს სიკვდილი მოუწდომა. მე გავრისხდი და ვითიქრე, რათ ჰკლავს თვისსა საყვარელს-მეთქი! ხმალ გაწდეილი შეუტიყ, ვსტყორუნე თავში და სიცოცხლე დავამწარე. მას შემდეგ ხმალი გადავაგდე, ვეფხი შევიპყრი ხელითა. ვეფხი მიღრენდა, მაწენებდა, ბრჭყალითა სისხლსა მაღენდა. გავვულისდი; ისიც, მიწაზე დავანარცხე და მოვკალი. გამასხენდა, მე რომ ჩემსა საყვარელსა, ვითა ლომი, წავეკიდე. ამან ცნობა დამიკარგა, კინალამ სული არ დავლიყ. შენცა მოხეელ, მომეშველე, სასიკვდილო მომაბრუნე. მაშ, რად გიკვირს, რომ ვსტირი და სიცოცხლეს არ ვინატროო“, უთხრა აეთანდილს.

ტარიელმა რომ ეს ამბავი გაათავა, კვლავ მოაგონდა მიჯნური, ასტირდა და ცხელი ცრუმლი გადმოყარა.

გ. იოსელიანი.

(შემდეგი იქნება.)



ბ ე ნ ი ა მ ი ნ ფ რ ა ნ კ ლ ი ნ ი

(შემდეგი*)

შრომით გამდიდრება



ენიაშინ ფრანკლინმა მართალია სტამბა შეიძინა, მაგრამ მაინც აგრე ადვილად ვერ დახტრა თავ იგაჭირებას.

ფილადელფიაში ორი სხვა სტამბა იყო და ყველა შემსაელიანი საქმეები იმათ ჰქონდათ აღებული. იმათთან ცილობა შეიძლებოდა მხოლო დაუყოვნებლივ შრომით და ხელოვნურად საქმის ასრულებით. ფრანკლინს ესმოდა ეს და ცდილობდა კაი სახელი მოეპოვა. თავის სტამბაში უფროსიც იყო და მუშაკიც. გაუთენებლივ მოპყვებოდა და შუალამემდის თავ-აუღებლათ მუშაობდა. იმის ხელი ერთ წუთას არ შესდგებოდა. არა საქმე იმისთვის სათაკილო არ იყო, ხშირად მთელ საპალნე ნაყიდ ქალალდს თითონვე წამოიღებდა სტამბაში.

— პატიოსანი მუშაკი ხელშწიფესაც დაედარება, ამბობდა ხშირად ფრანკლინი.

ფრანკლინმა ცოლად შეირთო თავისავით შშრომელი და ყაირათიანი ქალი. ეს ქალი არათუ თავის სახლკარს უვლიდა, ქმარსაც შევლოდა რითიც კი შეეძლო.

ოჯახი მართალია ღარიბულად ჰქონდათ მოწყობილი, მაგრამ სისუფთავე სუფევდა. ესენი თუ არ თიხას ჭურჭელს და კალის კოვზებს, არას ხმარობდენ.

ხოლო კარგა ხანს შემდეგ ერთხელ დილით ცოლმა მიართავა ფრანკლინს ჩაი ჩინური ფინჯნით და ვერცხლის კოვზით. ამასთანავე შეიარულად შეხედა და უთხრა.

*) იხილე „ჯეჯილი“-ს მე-2 ქ.-რი 1892 წლისა.



— ვითომ სხევბზედ შენ რა ნაკლები ხარ, რომ არ იხმარო ვერცხლის კოეზი და ან ჩინური ჭურჭელი.

ამათი საქმე თან და თან ძალიან კარგათ მიღიოდა — არც ასე-
თი ღარიბნი იყვნ, რომ ოჯახში ვერცხლი არ გაეტარებინათ;
მაგრამ მეტი ფულის ღახარჯვა არც ცოლს და არც ქმარს არ
უყვარდათ. უფრო შესაწევრათ ღარიბებისთვის გადასდებდენ და ისე
ხერხიანად ყველას ხელს უწყობდენ, რომ სწორედ ნამდვილ სიკე-
თეს სთვავდენ.

აი, მაგალითად, რასა სწერდა ფრანკლინი ერთ გაჭირებულ
ხელოსანს:

ქმაო!

გიგზავნით სამ თუმანს ფულს. მე ამას სესხათ გაძლევთ და არა
საჩუქრათ. როცა თქვენ სამშობლოში დაბრუნდებით, უთუოდ იშო-
ვით სამუშავოს და იმითი შეგეძლებათ გალის გადახდა. მაშინ, ჩე-
მი სათხოვარი ის გახლდება, მოძებნოთ ვინშე პატიოსანი კაცი, რო-
მელიც ისე გაჭირებული იყოს, როგორც ეხლა თქვენ ბრძანდებით
და მიეცით იმას ფული იმ პირობით, რა პირობითაც ეხლა მე თქვენ
გაძლევთ და მაშინ თქვენი ვალი გადახდილი გექნებათ.

იმედი მაქს, რომ ეს ფულები ბეერს გაჭირებულ პატიოსანს
კაცს გაუმართავს ხელს, სანამ ვისიმე უსეინიდისოს ხელში ჩავარდება.

დღითი დღე ფრანკლინის საქმე უკეთ მიღიოდა, სტამბას მუშ-
ტარი მიატყდა, საქმეებს ველარ ასდიოდენ.

იმ დროს ამერიკაში არც ჟურნალები იყო, არც სტამბის მაში-
ნები, არც ქალალდის ქარხნები და არც ხეირიანი გაზეთები — ყველა-
ფერი ინგლისიდამ მოჰკონდათ.

ფრანკლინმა დაწყო საკუთარი გაზეთის ბეჭედა. ბეერსა სწერ-
და მუშა ხალხზე და იმათ განათლებაზედ. თვით ხალხისთვის გამოსცა
პატარა წიგნები ადეილად გასაგები. ამ წიგნებს ხალხს ურიგებდა ათი
ათასობით და ფულის მაგივრად ართმევდა ფალას-ფულასებს, რო-
მელიც ყოველ ღარიბ ღვარში ბლობად მოიპოვება და ამ ფალას-
ფულასით მოჰყვა ქალალდის კეთებას. ამას სხევბმაც მიჰბაძეს და

ასე სამი ოთხი ქალალდის ქარხანა გაიმართა. ამასთან აეკ ფრანკლინი ზრდიდა და ასწავლიდა სტამბის მუზეუმები ყმაწვილ კაცებს და გზაენიდა სხეა-და-სხეა ქალაქებში სტამბის გასახსნელად. ბოლოს საქმე ისე დააყენა, რომ მუშაკი თითონ იყოფდენ შემოსავალს და ამას ეძლევოდა ხოლმე მესამედი ნაწილი შემოსავლისა.

ფრანკლინი ბევრს ფიქრობდა და ცდილობდა, თუ როგორ გააუმჯობესოს და გაუადვილოს მოძმევებს ცხოვრება. ერთხელ თავის მამულში რომ იყო, უნდოდა მიწის განოყიერება. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გამოივონა, რომ თუ ცარცი (ალექსანტრი) დაიყრება უხეირო მიწაზედ კაი და ნოყიერი ბალახი მოვა. წეზობლებმა ყურიც არ ათხოვეს ამის ლაპარაკს და არც აპირებდენ ამის გამოცდას.

კერპი შეზობლების დასაჯერებლად ფრანკლინმა დააბარეინა რომელიც უფრო უხეირო მიწა ჰქონდა და ზედ ცარცი ისე მოაყრევინა, რომ უშეველებელი ასოები გამოსულიყო. როდესაც ყოველგან თიბის დრო დადგა, ამ უხეირო მიწაზედ გამოჩნდა ზოლებივით შშენიერი ნოყიერი მწვანე ბალახი. ასოებით გამოყვანილი იყო შემდეგი სიტყვები: „ეს ნაოხარი და უხეირო მიწა განოყიერდა ცარცის შეწეობით.“ მეორე წელს ყველამ მიჰბაძა და რაც უხეირო ადგილები იყო, სულ მოიფინა მობიბინე, მშევნიერი მწვანე ბალახით.

როგორ დაიმსახურა ფრანკლინმა მეცნიერი გაცის სახელი

ფრანკლინს არ აკმაყოფილებდა ამ გვარი ცხოვრება, როდესაც შეიქნა ორმოცდა ორი წლისა და ნახა, რომ მისი მოგება სამყოფია საცხოვრებლად, მაშინვე სტამბა გადასცა თავის თანაშემწეს და თითონ მიეცა სრულიად უფრო დიდს და ძნელს საქმეს—მეცნიერების შეწავლას. იმან ყურადღება მიაქცია მეტად ბუნებას და იმის საოცარ მოელინებებს. როგორც რომ დროს ჩაიგდებდა, ჩაიკეტებოდა თავის სამუშაო ოთახში, რომელიც საკუთხი იყო სხეა-და-სხეა სამეცნიერო იარაღებით და ძნელად თუ კაცი იმას იქიდან გამოიყვანდა.

ამის მეოქებითვე გაიხსნა მაშინ ამერიკაში სამეცნიერო საზოგადოება,




რომლის მეთაურად ჩადგა თითონვე ფრანკლინი. ფრანკლინი ხშირად ხმარობდა ელექტრონულ მაშინებს და მაშინ მოიფიქრა, რომ იმათი შემწეობით შეიძლება ელვა-ქუხილის თავიდან აცდენა.

ყველა ადამიანში უნებლიერ შიშს ბადავს ის სამარის სიჩუმე, რომელიც სუფეს ელვა-ქუხილის წინედ, ის ქარი-შხალი და კორი-ანტელი, რომელნიც სისწრაფიდ აგროვებენ შავ ღრუბლებს და ცას

აბნელებენ ის საშინელი ჭექა-ჭუხილი და უფრო მეტად ელვა, რო-
მელიც არა თუ კაცს ჰყლავს, მთელ არემარეს ღუპავს.

ქველ დროს ამ ბუნების არეულობას ღვთის რისხეას მიაწერ-
დენ, მერე თან-და-თან მიხვდენ, რომ ელექტრუნული ძალა გამო-
იწვევს ელვასო. ფრანკლინიც მიჰყეა ამ აზრს და გამოსაცდელათ
აბრეშუმის ნაჭრებით გააკეთა, სათამაშოთ რომ იციან, ისეთი გველი,



ზემოდ თაეს მიუბა რკინის ნაჭერი, ბაწარი კანაფისა გაუკეთა, ხო-

ლო წვერი აბრეშუმისა იყო, რომელზედაც ხელის მოსაკიდებლად ფოლადის გასაღები ეყიდა. ეს რეინა და ფოლადის გასაღები ელექტრონის მიზიდველი იყო.

ერთ ზაფხულის დილას, ელვა-ქუხილის წინედ, ფრანკლინი თავის შეილიანად გაევიდა მინდორში, უნდა გამოეცადნა, რომ ელვა მიიზიდას თუ არა ამის გაკეთებულ გველს. ჯერ ეერა შეიტყორა, მერე როცა წამოწვიმა კანაფის ბაწარი დასველდა და მაშინ, ფრანკლინმა მიაკარა ხელი თუ არა გასაღებს, იგრძნო თითქო ვინმემ წაჰკრაო და იმავ წამს გამოჩნდა ისეთი ცეცხლის ნაპერწყალი, თითქოს გველი ელექტრონის ძაფის გვერდით იმყოფებაო. ფრანკლინს ისე გაეხარდა ეს ამბავი, რომ ვერც კი მიხედა როგორ დაიღუპებოდა თითონაც და თავისი შეილიც, ბაწარი რომ მეტად დასველებულიყო. მაშინ ცეცხლის ნაპერწყალიც ხომ მეტი იქნებოდა და ორთავეს ამათ იმსხვერპლიდა. ეს დამტკიცება ფრანკლინისთვის საკმაო იყო. თითონ დარწმუნდა და შეეძლო ყველა დაერწმუნებინა, რომ ელვა-ქუხილი ელექტრონის ძალით წარმოდგება და არა სხეა მანქანებით.


ფრანკლინის ცნობის მოყვარეობა ამით კიდევ არ დაკმაყოფილდა, რომ შეიტყო მიზეზი ელვა-ქუხილისა. ეხლა სულ იმ ფიქრში იყო, როგორ გადაარჩინოს ხალხი ყოველთვის მოსალოდნელ უბედურებას.

მას შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე, ფილადელფიის ერთ ქუჩაზედ გამლელ-გამომვლელის უურადლება მიაქცია ერთი ვაჭრის სახლის წინ მუშაობაში. ეს ვაჭრი გახლდათ ფრანკლინის დიდი მეგობარი. სახლის სახურავზედ არჭობდენ მეტტალისაგან გაკეთებულ სარს, რომელსაც წვერი ნეესიერ დაწვრილებული ჰქონდა. რეინის სარიდამ სახლის კედელზედ ჩამოჰქონდათ მიწამდის რეინს მართულები.

— ამას რას აკეთებთ? ჰკითხავდა ხალხი ხელოსნებს ცნობის მოყვარეობით.

— ბენიამინ ფრანკლინს სწადდია მიწაში ჩაძერინოს ხოლმე მეხი, უპასუხებდნენ ხელოსნები.

ამ პასუხით არაერთ კრაშოუილდებოდა. ყველა გაოცებით თავს იქნებოდა. მართალია ყველამ იცოდა, რომ ბენიამინ ფრანკლინი ჰქონი კაცი იყო, მაგრამ ამისთანა საქმე ჰქონასთან არ მოსდიოდათ. ამას შემდეგ ყველანი ცრობის მოყვარეობით შესცემოდენ გაჭრის სახლს და რაღაც უცნაურს მოელოდენ. მართლაც მოლოდინმა ფუჭად არ ჩაუარათ.



ერთხელ ფილადელფიაში ატყდა საშინელი ჰქონილი, რეალაქს გადევინა შავი ლრუბელი. წამის წამ ელვის ზოლები ანათებდენ ჩანარებულს ცას.

მეტადრე ამ ვაჭრის სახლისკენ იყო ეს ელვა. თითქოს აქ იყო ღრუბლების მიმზიდველი ძალა. დიდ ძალი ხალხიც მოგროვდა სა-
ცერად.

— ღმერთო ნუ გვიწყენ! ამბობდა ხალხი. ფრანკლინი, მეონი,
კი არ აშორებს სახლს ელვა ქუხილს, უფრო აგროვებს.


— რა რჯის! რად იღებს უოდვას თავის კისერზედ? განა ადა-
მიანს შეუძლიან მოგვაშოროს რისხეა ღვთისა?

ამ დროს ღრუბელი მოუახლოვდა სახლს და სახლის სახურავ-
ზედ ბრჭყვიალა სარჩედ საშინლად გაიელვა, მოისმა დიდი ქუხილი.
მაყურებლები შიშით გაშრენ, გაფითრდენ, თვალები დახუჭეს, რომ
უბედურება არ ენახათ, სწყვევლიდენ თავიანთ ცნობის მოყვარეო-
ბას: „რამ მოგვიყვანა აქაო“.

მაგრამ ელვა-ქუხილი გათავდა, სახლი ისევ ისე ხელუხლებ-
ლათ იდგა. შევი ღრუბლები, თითქოს ღონე მიხდილი, სახლს ნელ-
ნელა შორდებოდა.

პირველად ასე შემოილეს მექის ასაცდენი იარალი. ხალხმა ნახა
მისი სარგებლობა და ეხლა ყველა განათლებულს ქალაქებში, დიდ-
რონ სოფლებშიც კი ხმარობენ ამ იარალს. მექისა ეხლა აღარავის
ეშინიან და ფრანკლინის სახელი შეიქნა უკვდავი.

ა. თ.-წ.—სა





ყვა ჩალია მეცნავი

(გადმოკეთებული)

იჭვნარში შაშეი კოპწიად იჯდა ერთს გამარტოებულს
 ტოტზედ და გაჰქონდა საამური სტენა, მშენიერი ჭაბჭახი.
 მისი წკრიალა ხმა ჰფენდა გარშემო ლხენასა და სიხარულსა.
 ყველა ფრინველი სულ-განაბული უგდებდა ყურსა, სტკბე-
 ბოდა და ჰმადლობდა ოსტატს მგალობელსა...

— ვიშ, გრაცყალეთ! ილაჯი კი გასწყვიტა ამ მეტიჩარა
 უსტვინებ თავისი უმგზავსი ჰყივილით და! წაიღლო, სწორედ წაიღლო
 ყურთა სმენა, წამოიძახა ხმა-მაღლა ბოხის ხმით ყვაემა, რომელიც
 იქვე ტყეში გამხმარს ტოტზედ მედიდურად დასკუპებულიყო.

— ევ ვისა ჰყიუბავთ, ბატონო, და ვის უწუნებთ გალობასა?
 ჰყიოთხა განცვიფრებით ყვაესა იქვე ახლო მჯდომარე ზრდილობიან-
 მა გვრიტმა.

— ვისა, და, აი, იმ მჩხავანა შაშუნიასა, უპასუხა ბრიყულად
 ყვაემა.

— რადა, ბატონო? ყველა ალტაცებაშა, ყველას მოსწონს
 შაშეის გალობა, ყველა მაღლიერია მისი, და ოქვენ კი აგრე ცუ-
 დად იხსენიებთ. რაედენი საუკეთესო მცოდნესაგან გამიგონია, შაშ-
 ვი ბულბულიეითა გალობსო, უთხრა გვრიტმა.

— ბულბულიერთაო? განა ბულბული რაღა გვონია? ის არ არის, რომ მთელი ლაშე სევდიანი ხმით გაჰკიიბის, კვნესის და ოხრაეს? ის არ არის, რომ საშინლად ჩაკაკანდება, ჩაბჟირდება ხოლმე და ნალველით გვივსებს გულსა? ის არ არის, რომ შზეს ემალება და მთეარეზედ გახელდება ხოლმე და ძილს გვიფუთხობს თავისი დაუსრულებელი გლოვის წრიპინითა? მხოლოდ უმეტას და უნიჭოს მოეწონება ბულბულის გალობა. მე კი ღმერთმა მაშოროს, ღმერთმა მაშოროს.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, მხიარული მგალობელი გყვარებდათ და დღისით. მაშ ტოროლა უნდა მოგწონდეთ. ხომ გაგიგონიათ, ჩემო ბატონო?

— ამ, ხშირად, ძალიან ხშირად, ჩემდა საუბეჯუროდ. აბა, ერთი ის არის შეილი! გააბამს, ვაჟო, ბაწარ-ალებით და სულ ერთსა და იმავეს ჩხავის და ჩხავის. მჯდომარე მაინც გაჰკიოდეს, ის წყეული. აეხეტება ზეცაში და სულ თავზედ დაგვციიებს. კიდევ კარგი, რომ ხშირად ღრუბლებს ზევით ასცილდება ხოლმე და მისი ჭყივილი აღარ ისმის, თორებ სწორედ ჭლექს გამიჩენდა. საშინელებაა, საშინელება!

— თქვენი უცნაური მსჯელობა ისე მაოცებს, ჩემო ბატონო, რომ, ჭეშმარიტად, არ ვიცი, რა ვიფიქრო და რა ესთქვა, უპასუხა გერიტმა.

— გასაოცარი აქ სულაც არაფერია. ვაჟო, როგორ შეუძლიან ან შაშქა, ან ბულბულსა და ან ტოროლას კარგნი მგალობელნი იყენენ. ერთი წიწვნანი არიან, პაწია ხმა აქეთ და მხოლოდ წერილი და სუსტი სტვენა იციან. ნამდვილს მგალობელს ტანი უნდა მსხვილი ჰქონდეს, ყელი განიერი, ხმა ბოხი და ძლიერი, დაუმატა ამაყალ ყვაემა, და თავმოწონებით დაიხედა თავის ტანზედ.

— ხა! ხა! ხა! ჩაიხარხარა გერიტმა. მიეხედი, მიეხედი, ახლა კი კარგათ მიეხედი. აბა, სხვისი გალობა რაღათ მოგეწონებათ, როდესაც ნამდვილი მგალობელი თქვენი თავი გვანიათ და „ყვა-ყვა“

საუცხოეო გალობად მიგაჩნიათ. მაშ გაუმარჯოს შეუდარებელს მგა-
ლობელსა, უნიჭიერესს ყვანჩალიასა, შესძახა გრიტმა გულსაკლავი
დაცინვითა და ასტეხა კიფინა მასხარად აგდებისა.


— ბრიყენი, უფიცინი, ჩაბობოხა გაბრაზებულმა ყვანჩალია მკი-
ლავმა, იყადრა აფრენა და შერცხვენილმა მოჰკურცლა იმ არემა-
რედგანა.

იაკობ სვიმონიძე.




ს ა ლ ს უ რ ი ლ ე ქ ს ი

(წარმოდგენილი ს. დათეშიძესაგან)

 უშინ ჩეენმა მოყვარემა თავს ჭიშკარი გადგეიარა;
 ტანსა ეცვა თეთრი ჩოხა, თეთრი ჩოხა არყავნისა,
 არყავნისა, სხეა ფარჩისა, ახალუხი ატლასისა.
 თავს ედგა ქუდი მაღალი, ქუდი ლილში შეღებილი.
 „ეგ შენი ქუდი მაღალი ნიაემა შეგინძრიაო“
 ნიაე-წვრილი მზეს აჲყვება და ღრუბელი აესა დარსა.
 აესა დარსა ღრუბლიანსა, კარგი დარი გვირჩევნია;
 დიდსა ჭურსა ცალიერსა, მომცრო საესე გვირჩევნია;
 ბერსა ქალსა ბებერასა, ახალგაზდა გვირჩევნია!...





ა ნ დ ა ზ ე ბ ი

- 1) ტირილით ვეღარავის უპოვნია სიცილით დაკარგული.
- 2) კარგი მეზობელი მზის უწინარეს დასანახავია.
- 3) მარხვის მჭამელს, ხსნილშიაც არა ჰქონდარაო.
- 4) ყოველი შეილი მშობელს ჰგავს, მგზავსი მგზავს ემგზავსებიან.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი ივ. გრიგოლიძესაგან)

შირვან პეპელი მოპტრინავს, ეითა ლამპარი ენთების;
პატიოსანსა თვალსა ჰგავს, საჭურჭლეს არ ჩაიდების;
ცუცხლის ნაპერწყალსა ჰგავს, აბედს არ მოეკიდების.
ამისი გამომცნობელი, სოლომონ ბრძენი იქმნების.

ოქონ, ოქონ-ვერცხლიაო, ფარფალები ასხიაო;
მის ქვეყანას მოშორდება, მუხლი აღარ ასხიაო.

(წარმოდგენილი ლ. მათიკაშვილის მიერ.)

ერთი თხა მყენდა რემაო, ზურგზე გაედო ენაო,
იმისი სიტყვა პასუხი ქვეყანაშ დაიჯერაო.

უცხო ფრინველი მოფრინდა, ბოლო მოჭედით მოჯდაო,
იფეთქა, ისევ წაეიდა, უსულო ცხენზე შეჯდაო.



ଶ୍ରୀ କୃତ୍ତିମ

(ଷାଠମୀନ୍ଦ୍ରଗ୍ରେନିଲ୍ଲି ଓର୍ବିର୍ଜୀଲିସାଗାନ୍.)

ଶାତାରା ଦିପି ପିପାଗ୍ନ,
ପାତାମାଶିଳ୍ପି କ୍ରୈରିଓପାତା,
ମାସିଶିଳ୍ପି ପାତା ଗର୍ଭିଷ୍ଯେ
ଅନ୍ଧାର ମୋହପ୍ରେମ ଶିଳ୍ପାତା.

ଶ୍ରୀ କୃତ୍ତିମ

(ଷାଠମୀନ୍ଦ୍ରଗ୍ରେନିଲ୍ଲି ସାମ. ଲାତ୍ଜେଶ୍‌ଵିନିଶାଗାନ୍.)

ମାନାମ ଲମ୍ବେରିତମା ଗାଲ୍ଲେଗରିଖେଲାସ,
ସାନାମ ସାନ୍ତୁଷ୍ଟିରି ଚାପିଲାପାତା
କୁରିଦଳିଲ୍ଲି ଜୀବିଶା ମୋହର୍ଯ୍ୟାପଦ୍ମ;
ଦାବେଳିକାପାତା, ଦାବେଳିକାପାତା,
ଦାବେଳିକାପାତା, ଦାବେଳିକାପାତା;
ଦାବେଳିକାପାତା, ଦାବେଳିକାପାତା,

ଶ୍ରୀ କୃତ୍ତିମ

(ଷାଠମୀନ୍ଦ୍ରଗ୍ରେନିଲ୍ଲି ପ. ବିବିଦିଲାଶିଲିଶାଗାନ୍)

ମ୍ୟିନ୍‌ହାରି ପାତା ପାତା ପାତା

ଦାଲାକି ପାତା ପାତା

ଏଗୁରି ଏଗୁରି ପାତା ପାତା

ଏହି ରା ପାତା?

ଶ୍ରୀ କୃତ୍ତିମ

(ଷାଠମୀନ୍ଦ୍ରଗ୍ରେନିଲ୍ଲି ଗାଢ. ଫୌରାଲାଙ୍ଘିଶାଗାନ୍)

ତ—ଶ—ଫ—ନ—ଲ—ଶ—କ—ଶ—ତ—କ—ନ—ନ—ପ—ପ—କ—ଶ—
ଲ—ଶ—ନ—ନ—ଲ—ଶ.




სამათემატიკო გამოცანები.

(წარმოდგენილი ი. ბურჭულაძისაგან)

ერთს კაცს ჰქონდა ოც-და-ხუთი მანეთი. ამ ფულით იმას უნდა დაეჭირა ოცდა-ხუთი მუშა: კაცი სამ მანეთად, დედაკაცი აოშაურად, ყმაწვილები ხუთ-ხუთ შაურად. სულ რამდენ კაცს, ქალს და ყმაწვილს დაიჭერდა მუშად?

(წარმოდგენილი ორპირელის მიერ)

მჭედელს მოუტანეს რკინის ნაჭერი, რომელშიაც ექვსი ლურსმანი იყო და უთხრეს: ორჯერ ჩაქუჩის დაკვრით ეს რკინა გასჭერი ექვს ნაწილად ისე, რომ თითო ნაწილზედ თითო ლურსმანი დარჩენილიყოს. აბა, როგორ გასჭრის?



შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი კორტახასაგან.)

თაეს უზის ბოლო მარცვალი
აკვნისა ქრისტე-უფლისა;
სხვებსა ხმარობენ საჭმელში,
ხან წასასმელად წყლულისა.
ერთად კი მოციქულია
ჰუსა-გონების სრულისა.
ყოველდღე ამბის მომტანი
შინაურ-გარეულისა.

ରୂପଶବ୍ଦ.




II-ରେ ନେଇର ଗାମତ୍ୟାନିର୍ଜୀବିର ଆଶିନୀ:

- 1) ଶିଖିନ୍ଦି, 2) ତାଙ୍କଣୀ 3) ନେବ୍ରି, 4) ଶାନ୍ତେଲି.

ଫଳ: କାଳମାନୀ, ଅର୍ଦ୍ଧଗୁଣି, ଶୃତକୀ, ଚିତ୍ରକୁଳା (ମୁହରିଛା) ଶୃରଗୋଯିଲି,
ଫଳିଶୀ, ପୁରୁଣି.

ସମେତମାତ୍ରିକା ଗାମତ୍ୟାନିର୍ଜୀବି: 1) ଡ୍ରୁରଗାଲମ୍ବା ଗାନ୍ଧାରୀ ମନ୍ଦିରମୁଣ୍ଡିଲି
ପ୍ରିୟାରୀ ସିଗର୍ଜେକ୍ଟ୍ ଓତ୍ଥାତ ଲା ସିଗର୍ଜେକ୍ଟ୍ ଶାମାତ, ଠି, ଠିଏ ଲା ମେର୍ରେ ଗାନ୍ଧି-
ରୀ ଲାକିଥିଲୁଣାତ:



2) ବିର୍ବଳାକ୍ଷିର ଶିରିଦିଆ ଶିରିଦିଆ କୁଣ୍ଡା ପ୍ରାଚୀଶାଲନୀ କୁଣ୍ଡା ରାଜ୍ୟରୀ, ରାଜରିବା
1, ମେହରୀଶୀ ଶିରିଦିଆ ଶିରିଦିଆ କୁଣ୍ଡା 5, ରାଜରିବା ଉତ୍ତରି 5, ମେହରୀଶୀରା
ଶିରିଦିଆ ଉତ୍ତରି 8, ରାଜରିବା ଉତ୍ତରି 8. ଲୁଲ ଶ୍ଵେତଗ୍ରେନ୍ 37.

ପରିଚାଳନା: ଜ୍ଞାନିଲୀ.

ରୂପଶବ୍ଦ: ଲ୍ରୋଗ୍ରୋ ଲୋମିସା ଲ୍ରିମରୀ, ଲ୍ରୁ ଲୁମ୍ବ ଲୁହନ୍ଦା କ୍ଷେତ୍ରିତା.

ଫଳ, ଗାମତ୍ୟାନିର୍ଜୀବି ଲା ଶାରୀରା ଆଶିନୀ ଶିନମିଲ୍ଲାଶିଲ୍ଲି ମାର୍କ କ୍ଷୁ-
ତା ତ ଗିଲା କିମ୍ବା କିମ୍ବା, ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଗାମତ୍ୟାନିର୍ଜୀବି ଲା ଶାରୀରା କ୍ଷୁତାଶିଲ୍ଲି ମେ-
ରିକ୍ଷ କିଲାଶିଲ୍ଲି ମନ୍ତିରି ଲାଗ୍ରେଜ ଲାଗ୍ରେଜ କ୍ଷୁତାଶିଲ୍ଲି ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା
ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା
ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା ଶାମାତଗମାତିକ୍ଷମ ଲା

— **କ୍ଷେତ୍ରମାଲାକ୍ଷରି-ଗାମତ୍ୟାନିର୍ଜୀବି ଆଶିନୀର ଶ୍ଵେତଗ୍ରେନ୍ ପାଇଁ ଜ୍ଞାନିଲୀର ପାଇଁ —**

საქმაწვილო სურათებიანი ქურნალი

ჯეჯილი

წალიწადი მესამე

გამოვა 1892 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით,
როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხოვბანი, ლექსები, ზღაპრები,
მოგზაურობის და შესანიშნავ-კატა ცხოვრების აღწერა, პოემები,
მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სა-
კარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცა-
ნები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ქურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩეკნა
საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 გან.,
ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 გან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა
ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორიში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—, „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში
(Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), „ქართველთა აზხანა-
გობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Крас-
ногорская ул., д. № 7 Назарова).

2) ქუთაისში—ე. ნიკოლაძისას.

3) გორიში—ე. ურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩეკიძისას.

ვოსტის აღრესი: Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго
дѣтскаго журнала „Джеджили“.

ფედაქტორი-გამომცემელი ა. თუმანიშვილი-წერეთელისა.

o 1821



৩৬৩৩৩৩৩০
৩৩৩৩৩৩৩৩০